პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 20 აგვისტო, 1944 წ. № 169 (7122). ფასი 20 კაპ.

მტერთან საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა გვიჩვენეს უმაგალითო მამაცობა, გმირობა და ვაჟკაცობა, ხოლო მეთაურებმა და უფროსებმა—საჰაერო ოპერაციების ხელმძღვანელობის უნარი და სამხედრო ოსტატობა.

ამის შედეგად ჩვენს საბრძოლო ავიაციას ახლა სრული ბატონობა აქვს ჰაერში მტრის ავიაციაზე.

ი. სტალინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება
## უმაღლესი მთავარსარდლისა

1944 წ. 20 აგვისტო № 152 მოსკოვი, კრემლი

ამხანაგო მფრინავებო, შტურმანებო, საჰაერო მსროლელებო, რადისტებო, ინჟინრებო, ტექნიკოსებო, მოტორისტებო, ოფიცრებო და გენერლებო გამანადგურებელი, მოიერიშე, ბომბდამშენი, მზვერავი ავიაციისა!

ავიაციის საკავშირო დღეს მოგესალმებით თქვენ და მოგილოცავთ წარმატებებს გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში!

მთელ წითელ არმიასთან ერთად საბჭოთა ავიაცია გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ და გამანადგურებლად ურტყამს მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, მის ზურგსა და კომუნიკაციებს.

მუშათა თავდადებულმა შრომამ, საბჭოთა ავიაციის კონსტრუქტორებისა და ინჟინრების მაღალმა ოსტატობამ საშუალება მოგვცეს დაგვეძლია გერმანელთა ავიაციის წინანდელი რიცხობრივი უპირატესობა და წითელი არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალები შეგვეიარაღებინა მაღალი ხარისხის მრავალი ათასი საბრძოლო თვითმფრინავით.

მტერთან საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა გვიჩვენეს უმაგალითო მამაცობა, გმირობა და ვაჟკაცობა, ხოლო მეთაურებმა და უფროსებმა—საჰაერო ოპერაციების ხელმძღვანელობის უნარი და სამხედრო ოსტატობა.

ამის შედეგად ჩვენს საბრძოლო ავიაციას ახლა სრული ბატონობა აქვს ჰაერში მტრის ავიაციაზე.

ათასობით შესანიშნავი მფრინავი, შტურმანი და საჰაერო მსროლელი სულ უფრო და უფრო ამრავლებს ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმატებებს და ანადგურებს მტერს ხმელეთზე და ჰაერში.

ჩვენი საბრძოლო ავიაციის მიერ მიღწეულ წარმატებათა აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, ავიაციის დღეს — 20 აგვისტოს, 17 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში სამშობლოს სახელით სალუტი მიეცეს ჩვენს მამაც ავიატორებს ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი **ი. სტალინი**



# სტალინური ავიაციის დღე

ჩვენი დიადი სამშობლო სიამაყის გრძნობით დღესასწაულობს სტალინური ავიაციის დღეს.

საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი **სტალინის** ყოველდღიური მზრუნველობით შეჰქმნა სოციალისტური სამშობლოს მძლავრი საჰაერო ძალები. აღიზარდნენ მამაც მფრინავთა შესანიშნავი კადრები, რომლებმაც უმაგალითო გმირობით ასახელეს საბჭოთა კავშირი, დიდების შარავანდედით შეამკეს მისი ძლევამოსილი დროშები. ჩვენი სამხედრო-საჰაერო ფლოტი ომის პირველი დღიდანვე შეუპოვრად იბრძვის სამამულო ომის ფრონტებზე, გამანადგურებელ დარტყმებს აგემებს ვერაგ მტერს. საბჭოთა მფრინავები ოსტატურად იყენებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ იმ შესანიშნავ საბრძოლო მანქანებს, რომლებიც მათ სამშობლომ ჩააბარა.

ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ ომის პირველ წელს მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ავიაციას. **„ჩვენი ავიაცია, —** სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — **ხარისხით გერმანიის ავიაციას სჯობს, ხოლო ჩვენმა სახელოვანმა მფრინავებმა უშიშარ მებრძოლთა სახელი მოიხვეჭეს“.**

დიდი ბელადის მიერ მოცემული ეს მაღალი შეფასება ბრწყინვალედ გაამართლა საბჭოთა ავიაციამ სამამულო ომის მთელს მანძილზე. მოსკოვის, სტალინგრადის, ლენინგრადისა და სევასტოპოლისათვის ბრძოლებში, გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ყველა ფრონტზე საბჭოთა მფრინავებმა მამაცობისა და გმირობის სწორუპოვარი მაგალითები გვიჩვენეს.

საბჭოთა ავიაციამ განვლო სახელოვანი და ძნელი გზა. იგი ბრძოლებში იწრთობოდა, სწავლობდა გამარჯვების ხელოვნებას. როგორც წითელი არმიის ყველა გვარეობის ჯარებმა, ისე სტალინურმა შევარდნებმა დიდი ხანია მტერს ხელიდან გამოჰგლიჯეს ინიციატივა, გამანადგურებელი დარტყმები მიაყენეს მას და მოსვენებას არ აძლევენ არც დღისით, არც ღამით.

ჰიტლერული არამზადების წინააღმდეგ საჰაერო ომის ახლანდელი პერიოდი ხასიათდება ჩვენი ავიაციის მასირებული და მთელი არმიის ყველა გვარეობის ჯარებთან უაღრესად შეთანხმებული მოქმედებით. გამანადგურებელი ავიაციის ნაწილები, რომლებშიც აღიზარდნენ საჰაერო ბრძოლის შესანიშნავი ოსტატები, თავზარს სცემენ ფაშისტ სვავებს. ჩვენი მოიერიშე მფრინავები გზას უკაფავენ სახმელეთო ნაწილებს გადამწყვეტი იერიშებისათვის. ჩვენი ბომბდამშენები ყოველდღე ბომბავენ მტრის კომუნიკაციებს, აეროდრომებს, საწყობებს, ტრანსპორტს ჯარებიანად და სამხედრო ტვირთიანად.

ისტორიულ გამარჯვებებში, რომლებიც წითელმა არმიამ განვლილი წლის მანძილზე მოიპოვა, დიდია საბჭოთა ავიაციის როლი. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** ყოველ ბრძანებაში, წითელი არმიის სხვა გვარეობის ჯარებთან ერთად, მოხსენიებული არიან ჩვენი საჰაერო შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბრძოლებში. ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მრავალმა საავიაციო შენაერთმა და ნაწილმა მიიღო დიდი ბელადის მადლობა.

ათასობით საბჭოთა მფრინავმა უმაგალითო საგმირო საქმეებით და მამაცობით საყოველთაო დიდება და სახელი დაიმსახურა. მთელი ჩვენი ქვეყანა სიყვარულითა და სიამაყით იხსენიებს ჰაერის რაინდების, საბჭოთა კავშირის გმირების გასტელოს, პოკრიშკინის, გულაევის, პოკრიშევის, დიმიტრი გლინკას და სხვების სახელებს. მათი საგმირო საქმეებით ამაყობს სამშობლო, მათი ოსტატობა და სიმტკიცე, შეუპოვრობა და გულადობა სანიმუშოა ყველა მფრინავისათვის.

სტალინურ შევარდენთა შესანიშნავ ოჯახს ამშვენებს ქართველი ხალხის მრავალი მამაცი შვილი. სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში უკვდავი სახელი მოიხვეჭეს საბჭოთა კავშირის გმირებმა შაქრო ხიტალიშვილმა, ალექსანდრე წურწუმიამ, ისრაფილ ჯინჭარაძემ, ჭიჭიკო ბენდელიანმა. გამანადგურებლად ურტყამენ მტერს ბალტიელი მოიერიშე ალექსანდრე გურგენიძე, გიორგი ინასარიძე, ტატანაშვილი და სხვები. მრავალჯერ მიიღეს დიდი სტალინის მადლობა საბჭოთა კავშირის გმირის ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ნანეიშვილის მფრინავებმა.

ავიაციის დღეს უდიდესი გამარჯვებებით ხვდებიან ჩვენი კონსტრუქტორები და თვითმფრინავთმშენებლები. ისინი აძლევენ წითელ არმიას პირველხარისხოვან თვითმფრინავებს. საბჭოთა ადამიანებმა შეჰქმნეს შესანიშნავი სისტემების თვითმფრინავები და ყოველდღიურად მუშაობენ მათს გაუმჯობესებაზე. მტრისათვის რისხვას წარმოადგენენ ჩვენი „ილიუშინები“, „ლავოჩკინები“, „იაკოვლევები“ და სხვა საბრძოლო მანქანები.

წელს სტალინური ავიაციის დღეს ჩვენ აღვნიშნავთ წითელი არმიის უმაგალითო წარმატებათა ვითარებაში. წითელმა არმიამ დაამთავრა გერმანიის ჯარების ცენტრალური ჯგუფის განადგურება. მთავრდება საბჭოთა ბელორუსიის და საბჭოთა უკრაინის ტერიტორიების განთავისუფლება. განთავისუფლებულია აგრეთვე საბჭოთა ბალტიისპირეთის ნაწილი. სახელოვანი წითელი არმია ანადგურებს მტერს პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და გერმანელთა უღლისაგან ათავისუფლებს მრავალტანჯულ პოლონელ ხალხს.

ამ მძაფრ გადამწყვეტ ბრძოლებში სტალინური შევარდნები ახალ-ახალი საგმირო საქმეებით უფრო მეტ დიდებას მოუხვეჭენ საბჭოთა იარაღს, უფრო მეტი სიმტკიცით და შეუპოვრობით იბრძოლებენ საზიზღარი მტრის სრულ განადგურებამდე.

სტალინური ავიაციის დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა მიესალმება თავის სახელოვან შვილებს, ულოცავს მიღწეულ წარმატებებს და უსურვებს საბოლოო გამარჯვებას ვერაგ მტერზე.

დიდება ჩვენს მამაც მფრინავებს!

დიდება ჩვენი მშობლიური დიდი **სტალინის** მიერ შექმნილ საბჭოთა ავიაციას!

# საბჭოთა ავიაციის საბრძოლო მოქმედების შედეგები 1941 წლის 22 ივნისიდან 1944 წლის 18 აგვისტომდე განვლილ პერიოდში

სამ წელზე მეტია ჩვენი ავიაცია მთელ წითელ არმიასთან ერთად წარმატებით ბრძოლას აწარმოებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ომის პირველ პერიოდში ჩვენმა სამხედრო საჰაერო ძალებმა, რომლებიც გაუმკლავდნენ მოწინააღმდეგის ავიაციის რიცხობრივად ჭარბი ძალების დარტყმებს, ომის მსვლელობაში ჩაჰფუშეს და გააცამტვერეს ჰიტლერელთა ვარაუდები ჰაერში განუყოფელი ბატონობის შესახებ. საბჭოთა ავიაცია მტერს მძიმე დარტყმებს აყენებდა და აყენებს, სპობს მის ტექნიკას და ცოცხალ ძალას.

ჩვენი ქვეყნის საჰაერო დაცვის ავიაგამანადგურებლები საიმედოდ იფარავენ ჩვენს ქალაქებს, სამრეწველო ცენტრებსა და ტრანსპორტს ჰაერიდან მოწინააღმდეგის დარტყმებისაგან. სრული მარცხი განიცადა გერმანიის ავიაციის ყველა ცდამ — შემოეღწია საბჭოთა ინდუსტრიულ რაიონებში და დაერღვია ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების ნორმალური მუშაობა.

შორი მოქმედების საბჭოთა ავიაცია გამანადგურებელ დარტყმებს აგემებს მოწინააღმდეგის ზურგსა და კომუნიკაციებს. საბჭოთა მფრინავებმა არაერთგზის დაბომბეს ბერლინი, კენიგსბერგი, დანციგი, ბუქარესტი, ბუდაპეშტი, ჰელსინკი და გერმანიისა და მისი თანამონაწილეების სხვა სამრეწველო ცენტრები და რკინიგზის კვანძები.

მოსკოვის გმირული დაცვის დღეებში საბჭოთა ავიაციამ წარმატებით შეასრულა მტრის ავიაციის დარტყმებისაგან ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის დაცვის ამოცანა. ჩვენმა საავიაციო ნაწილებმა მოჰქანცეს მტრის საჰაერო ძალები და დიდი დახმარება გაუწიეს წითელი არმიის სახმელეთო ჯარებს მოსკოვთან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში.

ლენინგრადის, ოდესის, სევასტოპოლისათვის ბრძოლებში წითელი არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის სამხედრო საჰაერო ძალების მფრინავებმა უჭკნობი დიდება მოიპოვეს. ბრძოლებში ვორონეჟთან, დონზე, კავკასიის მისადგომებთან საბჭოთა ავიაცია ჰაერიდან დარტყმებით აკავებდა გერმანელთა შემოტევას და ამით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ჩვენს ჯარებს. სტალინგრადისათვის ბრძოლაში ჩვენმა სამხედრო-საჰაერო ძალებმა გაჟლიტეს გერმანელთა საუკეთესო ესკადრების მფრინავთა დიდი ნაწილი, ხოლო შემდეგ ბრწყინვალედ განახორციელეს სტალინგრადში გარშემორტყმული გერმანიის არმიების საჰაერო ბლოკადა. ათასობით ფაშისტი ასს-ი დაიღუპა მოსკოვთან, ლენინგრადთან, სტალინგრადის რაიონში, ყუბანისა და დონის ველებზე, უკრაინის სივრცეებში და ბელორუსიის მინდვრებში.

ჩვენმა ავიაციამ ომის მსვლელობაში წაართვა მტერს ჰაერში უპირატესობანი, რაც მას ჰქონდა პირველ პერიოდში ჩვენს სამშობლოზე უეცარი და ვერაგული თავდასხმის შედეგად.

ტამანის ნახევარკუნძულზე გააფთრებულ საჰაერო ბრძოლებში და კურსკის რკალზე ბრძოლაში საბოლოოდ იქნა გაქარწყლებული გერმანიის ავიაციის წინანდელი უპირატესობა ჰაერში.

ჩვენი საბჭოთა ხალხის დაუღალავი დახმარების მეოხებით წითელი არმიის სამხედრო საჰაერო ძალები უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ, ვიდრე გერმანიის ავიაცია და რისხვად იქცნენ ფაშისტი დამპყრობლებისათვის. საბჭოთა ზურგი, მუშები, სპეციალისტები და კონსტრუქტორები დაუღალავად შრომობენ, განუწყვეტლივადიდებენ თვითმფრინავების გამოშვებას და აუმჯობესებენ მათს საბრძოლო თვისებებს.

1944 წლის ზაფხულში წითელი არმიის მიერ გაჩაღებულ შეტევითს ოპერაციებში ჩვენმა ავიაციამ სრული ბატონობა მოიპოვა ჰაერში. იგი უაღრესად აქტიურ და სულ უფრო მზარდ დახმარებას უწევს სახმელეთო ჯარებს, უკაფავს გზას და უზრუნველჰყოფს მათ შეუპოვარ წინსვლას დასავლეთისაკენ.

სამამულო ომის განმავლობაში საბჭოთა ავიაციამ მოსპო ჰაერში და ხმელეთზე მოწინააღმდეგის 50 ათასზე მეტი თვითმფრინავი, მოსპო და დააზიანა გერმანელთა მრავალი ათასი ტანკი, თვითმავალი ქვემეხი და ჯავშნიანი მანქანა, 200 ათასზე მეტი ავტომანქანა, 800-ზე მეტი ორთქლმავალი, 10 ათასზე მეტი ვაგონი, დიდძალი სხვა სახის საბრძოლო ტექნიკა, აგრეთვე მტრის ცოცხალი ძალა.

ასეთია მოკლედ წითელი არმიის სამხედრო საჰაერო ძალების საბრძოლო მოქმედების შედეგები სამამულო ომის 38 თვის განმავლობაში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

# ბრძანებულება
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### უხუცესი რუსი მფრინავის ბ. ი. როსინსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადებიდან 60 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნას რუსეთში საფრენოსნო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, უხუცესი რუსი მფრინავი ბორის ილიოდორის-ძე როსინსკი ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 19 აგვისტო.

# ბრძანებულება
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### ავიაციის მარშალ ა. ე. გოლოვანოვისათვის ავიაციის მთავარი მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

ავიაციის მარშალს ალექსანდრე ევგენის-ძე **გოლოვანოვს** მიენიჭოს ავიაციის მთავარი მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1944 წ. 19 აგვისტო.

# ბრძანებულება
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### საბჭოთა კავშირის გმირ გვარდიის პოლკოვნიკ ალექსანდრე ივანეს-ძე პოკრიშკინის „ოქროს ვარსკვლავის“ მესამე მედლით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე გმირობის გამოჩენისათვის, რაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მიღების უფლებას იძლევა, — დაჯილდოებულ იქნას საბჭოთა კავშირის გმირი, გვარდიის პოლკოვნიკი ალექსანდრე ივანეს-ძე პოკრიშკინი „ოქროს ვარსკვლავის“ მესამე მედლით და მისი საგმირო საქმეების აღსანიშნავად აგებულ იქნას ბრინჯაოს ბიუსტი დაჯილდოებულის გამოსახულებით და შესაფერისი წარწერით, რომელიც დაიდგას კვარცხლბეკზე სვეტის სახით მოსკოვში საბჭოების სასახლესთან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1944 წ. 19 აგვისტო.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

# ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისა და მიცემის და შეღავათების მინიჭების წესის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ქვემოთ დაბეჭდილი დებულება ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისა და მიცემის და შეღავათების მინიჭების წესის შესახებ.

„ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად, წესდება ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების დანიშვნისა და მიცემის და შეღავათების მინიჭების შემდეგი წესი:

### I. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების განსაზღვრის წესი

1. სახელმწიფო დახმარება ენიშნება და ეძლევა იმ მრავალშვილიან დედებს (ქმრიანებსა და ქვრივებს), რომლებსაც ორი შვილი ჰყავთ, მესამე და თვითეული შემდეგი ბავშვის დაბადებისას, რომელიც დაიბადება 1944 წლის 8 ივლისის შემდეგ.

2. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების მიცემა სწარმოებს, ბრძანებულების მეორე მუხლის შესაბამისად, შემდეგი წესითა და ოდენობით:

| | ერთდროულად | ყოველთვიურად |
|---|---|---|
| ორშვილიან დედებს მესამე ბავშვის დაბადებისას | 400 მან. | — |
| სამშვილიან დედებს მეოთხე ბავშვის დაბადებისას | 1,300 მან. | 80 მან. |
| ოთხშვილიან დედებს მეხუთე ბავშვის დაბადებისას | 1,700 მან. | 120 მან. |
| ხუთშვილიან დედებს მეექვსე ბავშვის დაბადებისას | 2,000 მან. | 140 მან. |
| ექვსშვილიან დედებს მეშვიდე ბავშვის დაბადებისას | 2,500 მან. | 200 მან. |
| შვიდშვილიან დედებს მერვე ბავშვის დაბადებისას | 2,500 მან. | 200 მან. |
| რვაშვილიან დედებს მეცხრე ბავშვის დაბადებისას | 3,500 მან. | 250 მან. |
| ცხრაშვილიან დედებს მეათე ბავშვის დაბადებისას | 3,500 მან. | 250 მან. |
| ათშვილიან დედებს თვითეული შემდეგი ბავშვის დაბადებისას | 5,000 მან. | 300 მან. |

ყოველთვიური დახმარება მრავალშვილიან დედებს ეძლევათ ბავშვის დაბადების მეორე წლიდან, სანამ ბავშვი ხუთი წლის ასაკისა გახდება.

დედა, რომელიც იღებს სახელმწიფო დახმარებას მრავალშვილიანობისათვის, მის მიერ შემდეგი ბავშვის დაბადებისას იღებს მისთვის დაწესებულ ერთდროულ და ყოველთვიურ დახმარებას და განაგრძობს დახმარების მიღებას წინათ დაბადებული ბავშვისთვისაც, სანამ იგი ხუთი წლის ასაკს მიაღწევს.

3. დედებს, რომელთაც ბრძანებულების გამოცემის დღისათვის ჰყავთ სამი, ოთხი, ხუთი და ექვსი შვილი, ბრძანებულების მეორე მუხლით გათვალისწინებული ერთდროული და ყოველთვიური სახელმწიფო დახმარება ეძლევათ ყოველ ბავშვზე, რომელიც ბრძანებულების გამოცემის შემდეგ დაიბადა.

დედები, რომელთაც ბრძანებულების გამოცემის დღისათვის ჰყავთ შვიდი და მეტი შვილი, ინარჩუნებენ უფლებას მიიღონ დახმარება მრავალშვილიანობისათვის იმ წესითა და ოდენობით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 27 ივნისის დადგენილებით, სახელდობრ: მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე ბავშვზე—2 ათასი მანეთი თვითეულზე ყოველწლიურად ხუთი წლის განმავლობაში ბავშვის დაბადების დღიდან; მეთერთმეტე და თვითეულ შემდეგ ბავშვზე—5,000 მანეთი ერთდროულად და 3,000 მანეთი ყოველწლიურად ოთხი წლის განმავლობაში, დაწყებული ბავშვის დაბადების მეორე წლიდან. 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემის შემდეგ თვითეული შემდეგი ბავშვის დაბადებისას დახმარება მისთვის გაიცემა იმ წესითა და ოდენობით, რაც დადგენილია ამ ბრძანებულების მეორე მუხლით.

4. მრავალშვილიანი დედისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისას მხედველობაში მიიღება დედის ყველა შვილი ერთი მამისაგან იქნება თუ სხვადასხვა მამისაგან, შვილების ასაკის მიუხედავად, როგორც დედასთან ერთად, ისე მისგან ცალკე მცხოვრებნი, აგრეთვე სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულნი და უკვალოდ დაკარგულნი.

მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისას მხედველობაში მიიღებიან ნაშვილები ბავშვები, აგრეთვე შვილები წინანდელი ქმრისაგან, რომლებიც დედის აღსაზრდელნი გახდნენ არა უგვიანეს თორმეტი წლის ასაკისა.

მრავალშვილიანი დედისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღებიან გარდაცვლილი შვილები, აგრეთვე შვილები, რომლებიც უცხოეთის ქვეშევრდომები არიან.

5. მრავალშვილიანი დედის სიკვდილის შემთხვევაში სახელმწიფო დახმარება ენიშნება და ეძლევა მამას ან შვილების მეურვეს, თუ მის აღსაზრდელად რჩებიან გარდაცვლილი დედის შვილები.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც მრავალშვილიანი დედა სახელმწიფო დახმარების დანიშვნისათვის მიმართავს ბავშვის დაბადების ერთი წლის ან მეტი ხნის შემდეგ, მას დაენიშნება და მიეცემა ერთდროული სახელმწიფო დახმარება და ყოველთვიური დახმარება წარსული დროისა, მაგრამ არა უმეტეს, ვიდრე ექვსი თვისა დახმარებისათვის მიმართვის დღემდე.

იმ შემთხვევაში, თუ მრავალშვილიანი დედა მიმართავს დანიშნული სახელმწიფო დახმარების (ერთდროულის ან თვიურის) მიღებისათვის ბავშვის დაბადების ერთი წლისა ან მეტი ხნის შემდეგ, ერთდროული დახმარება მას მიეცემა სრულად, ხოლო ყოველთვიური დახმარება წარსული დროისათვის—არა უმეტეს, ვიდრე ექვსი თვისა დახმარების მორიგი გაცემის ვადის დღემდე.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ყოველთვიური სახელმწიფო დახმარება მრავალშვილიან დედას გასული დროისათვის ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მიეცეს ექვს თვეზე მეტი ხნის ვადისთვისაც.

7. სახელმწიფო დახმარების მიცემა მრავალშვილიან დედას შეუწყდება:

ა) იმ ბავშვის სიკვდილის შემთხვევაში, რომლისთვისაც დახმარება დანიშნულია;

ბ) მრავალშვილიანი დედის რომელიმე შვილის სიკვდილის შემთხვევაში, თუ ამასთან დაკავშირებით ცოცხლად დარჩენილი შვილების რიცხვი სამზე ნაკლები აღმოჩნდება.

8. იმ შემთხვევაში, თუ მრავალშვილიან დედას, რომელსაც ხუთი და მეტი შვილი ჰყავს, მოუკვდება ერთ-ერთი შვილი, ყოველთვიური დახმარების ოდენობა მცირდება და დახმარების მიცემა სწარმოებს ცოცხლად დარჩენილი შვილების რიცხვის შესაბამისად, დაწყებული ოჯახის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილების შემდეგი თვიდან.

ამ შემთხვევებში დახმარების ოდენობის შეცვლა სწარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

იმ შემთხვევაში, თუ მრავალშვილიანი დედის რომელიმე შვილი დაიღუპა ან უკვალოდ დაიკარგა სამამულო ომის ფრონტებზე, სახელმწიფო დახმარების ოდენობა მრავალშვილიანობისათვის არ მცირდება.

### II. მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების განსაზღვრის წესი

9. სახელმწიფო დახმარება ენიშნება და ეძლევა მარტოხელა დედებს (უქორწინოებს) იმ შვილების შესანახავად და აღსაზრდელად, რომლებიც 1944 წლის 8 ივლისის შემდეგ დაიბადნენ.

10. მარტოხელა დედებისათვის შვილების შესანახავად და აღსაზრდელად სახელმწიფო დახმარების მიცემა სწარმოებს შემდეგი ოდენობით:

| | | |
|---|---|---|
| ერთ ბავშვზე | 100 | მანეთი თვეში |
| ორ ბავშვზე | 150 | „ „ |
| სამსა და მეტ ბავშვზე | 200 | „ „ |

სახელმწიფო დახმარება მარტოხელა დედებს ეძლევათ მანამდე, ვიდრე შვილები თორმეტი წლის ასაკს მიაღწევენ.

11. მარტოხელა დედის იმ შვილებისათვის, რომლებიც 1944 წლის 1 იანვრიდან 8 ივლისამდე განვლილ დროში დაიბადნენ, ბრძანებულების მესამე მუხლის შესაბამისად წესდება ყოველთვიური სახელმწიფო დახმარება იმ შემთხვევაში, თუ დედა მათთვის ალიმენტებს არ იღებს.

12. ქალს, რომელიც რეგისტრაციით იყო დაქორწინებული, ქმრის სიკვდილის შემთხვევაში უფლება აქვს მიიღოს მარტოხელა დედებისათვის დაწესებული სახელმწიფო დახმარება ქმრის სიკვდილის შემდეგ დაბადებული ბავშვებისათვის.

13. ქალს, რომელსაც ჰყავს შვილი იმ პირისაგან, რომელთანაც რეგისტრაციით დაქორწინებული არ არის, მაგრამ რომელთანაც ერთად ცხოვრობს, უძღვება საერთო მეურნეობას და მასთან ერთად ზრდის ბავშვს, მარტოხელა დედისათვის დაწესებული დახმარების მიღების უფლება არა აქვს.

14. მარტოხელა დედებს, რომელთაც ჰყავთ სამი და მეტი შვილი, ბრძანებულების მესამე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარება ეძლევათ მრავალშვილიანობისათვის დაწესებული იმ დახმარების დამატებად, რასაც ბრძანებულების მეორე მუხლის შესაბამისად იღებენ.

15. მარტოხელა დედის დაქორწინებისას მისთვის დანიშნული სახელმწიფო დახმარების მიცემა არა სწყდება.

16. ვიდრე მარტოხელა დედის შვილი საბავშვო დაწესებულებებში სრულ სახელმწიფო ხარჯზე იმყოფება შესანახავად და აღსაზრდელად, ყოველთვიური დახმარება საბავშვო დაწესებულებაში ბავშვის ყოფნის დროისათვის არ გაიცემა. იმ შემთხვევაში, თუ დედის კმაყოფაზე არიან სხვა შვილებიც, დახმარების რაოდენობა განისაზღვრება მასთან დარჩენილი ბავშვების რიცხვის შესაბამისად, რომლებიც 12 წლისაზე ნაკლები ასაკისა არიან და რომლებიც დაიბადნენ 1944 წლის 8 ივლისის შემდეგ ან დაიბადნენ 1944 წლის 1 იანვრიდან 8 ივლისამდე განვლილ დროში, იმ შემთხვევაში, თუ დედა მათთვის ალიმენტებს არ იღებს.

17. იმ შემთხვევაში, თუ მარტოხელა დედას მოუკვდება ერთ-ერთი შვილი, ყოველთვიური სახელმწიფო დახმარების მიცემა სწარმოებს იმ ბავშვების რიცხვის შესაბამისად, რომლებიც მას დარჩა და 12 წლისაზე ნაკლები ასაკისა არიან და დაიბადნენ 1944 წლის 8 ივლისის შემდეგ, აგრეთვე დაიბადნენ 1944 წლის 1 იანვრიდან 8 ივლისამდე განვლილ დროში, იმ შემთხვევაში, თუ დედა მათთვის ალიმენტებს არ იღებს.

18. მარტოხელა დედის სიკვდილის შემთხვევაში, მისი კუთვნილი სახელმწიფო დახმარება შვილების აღსაზრდელად ეძლევა დადგენილი წესით დანიშნულ მეურვეს.

### III. მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის წესი

19. მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნა სწარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით.

განცხადება სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ დედას შეაქვს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წერილობითი სახით პირადად, ან, მისი მინდობილობით, რწმუნებული პირის საშუალებით, ან ფოსტით, სოფლის საბჭოს, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების, სახლმართველობათა საშუალებით.

განცხადებაში ზუსტად უნდა იყოს ნაჩვენები დედის ყველა შვილის სახელი, მამის სახელი, გვარი და მათი საცხოვრებელი ადგილი.

20. განცხადებას სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ უნდა დაერთოს:

ა) მოწმობა ან მოწმობის პირი, დადასტურებული სანოტარო წესით (სანოტარო კანტორებში ან სოფლის საბჭოებში), იმ ბავშვის დაბადების შესახებ, რომლისთვისაც დახმარებას ითხოვენ;

ბ) ამონაწერი სოფლის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებიდან, ხოლო ქალაქ ადგილებში — მილიციის ორგანოების მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს დედასთან მცხოვრები შვილების რაოდენობას, ამასთან ნაჩვენები უნდა იქნეს ამ შვილების ასაკი;

გ) იმ ბავშვებზე, რომლებიც დედასთან არ ცხოვრობენ — ცნობები მილიციის ორგანოებისა იმ შვილების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან სამხედრო ნაწილის ცნობები.

ცნობები დათარიღებულ უნდა იქნას არა უადრეს ექვსი თვისა განცხადების მიცემის დღიდან.

21. ომიანობის დროს მრავალშვილიან დედას შეუძლია წარადგინოს ცნობა ჯარში გაწვეული შვილების შესახებ რაიონული სამხედრო კომისარიატიდან მისი შვილების გაწვევის ადგილის მიხედვით.

იმ შემთხვევებში, როდესაც მრავალშვილიანი დედის შვილები იმყოფებიან მოქმედ წითელ არმიაში ან პარტიზანულ რაზმებში, და დედას მასზე დამოუკიდებელი გარემოებით არ შეუძლია წარადგინოს ცნობა სამხედრო ნაწილიდან ან სამხედრო კომისარიატიდან ამ შვილების ადგილსამყოფელის შესახებ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს სხვა დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ დახმარების მიღების უფლებას, და გამოაქვს სათანადო გადაწყვეტილება.

22. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა მრავალშვილიანი, მარტოხელა დედის მიერ სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ განცხადების შეტანის დღიდან, უნდა განიხილოს ეს განცხადება და დაუნიშნოს სახელმწიფო დახმარება, რის შემდეგაც მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების რაიონულ, საქალაქო განყოფილებას აძლევს განკარგულებას დახმარების გაცემის შესახებ.

23. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ იწერება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი და დაისმის ბეჭედი.

ოქმში ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა დოკუმენტი, რომლებიც საფუძვლად გახდნენ სახელმწიფო დახმარების დანიშვნისათვის, ან ნაჩვენები უნდა იყოს მოტივები დახმარების დანიშვნაზე უარის თქმისა.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების ამონაწერი სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ ხელზე ეძლევა დედას; ამონაწერის მეორე ეგზემპლარი, დედის განცხადება და ყველა დოკუმენტი, რომლებიც საფუძვლად გახდნენ დახმარების დანიშვნისას, იგზავნება შესანახავად მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების რაიონულ, საქალაქო განყოფილებაში.

24. იმ შემთხვევაში, თუ მრავალშვილიანი, მარტოხელა დედა არ ეთანხმება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს გაასაჩივროს რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ავტონომიური, მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში, რომელმაც საჩივარი უნდა განიხილოს არა უგვიანეს, ვიდრე ორი კვირის ვადაში.

25. მრავალშვილიანი, მარტოხელა დედის სხვა ადგილას გადასვლის შემთხვევაში, მისი განცხადებით, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების რაიონული, საქალაქო განყოფილება საქმეს დახმარების დანიშვნის შესახებ უგზავნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დედის ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დედის ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დახმარების დანიშვნის შესახებ საქმის მიღების შემდეგ მითითებას აძლევს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების რაიონულ, საქალაქო განყოფილებას დახმარების გაცემის გაგრძელების შესახებ.

### IV. სახელმწიფო დახმარების გაცემის წესი

26. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების რაიონული, საქალაქო განყოფილება მრავალშვილიან დედას გამოუწერს და მისცემს ყოველ ბავშვზე პირად წიგნაკს სახელმწიფო დახმარების მიღების უფლების შესახებ, ხუთი წლის ვადით, და მარტოხელა დედებს — ერთიან წიგნაკს მის აღზრდაზე მყოფი ყველა შვილის შესახებ, ოთხი წლის ვადით.

ოთხი წლის გასვლის შემდეგ მარტოხელა დედის პირადი წიგნაკი შეიცვლება ახალი წიგნაკით, შემდეგი ოთხი წლის ვადით.

27. პირადი წიგნაკი უნდა გადაეცეს დედას ხელმოწერით არა უგვიანეს, ვიდრე ერთი კვირის ვადაში დახმარების დანიშვნის დღიდან.

28. მრავალშვილიანი, მარტოხელა დედის პირად წიგნაკში სახელმწიფო დახმარების მიღების უფლების შესახებ შეტანილ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი ცნობები:

იმ ბავშვის სახელი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი, რომელზედაც დახმარება იცემა;

დედის ყველა სხვა შვილის სახელი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი;

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის აღნიშვნა სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ;

განსაკუთრებული აღნიშვნები იმ ბავშვის შესახებ, რომელზედაც დახმარება იცემა, როგორც მაგალითად, ბავშვის გადაცემა აღსაზრდელად საბავშვო დაწესებულებაში.

29. სახელმწიფო დახმარების გაცემა სწარმოებს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების რაიონული, საქალაქო განყოფილების მიერ: ქალაქებში—შემნახველი სალაროების საშუალებით, სოფლად ადგილებში—მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების საშუალებით პირადი წიგნაკის ხელმოწერით.

30. ყოველთვიური დახმარების მიღებისას დედა წარადგენს პირად წიგნაკს, რომელშიც მასთან ერთად მცხოვრები ბავშვები აღნიშნულია: ქალაქებში სახლთმმართველობებისა ან მილიციის ორგანოების მიერ, ხოლო სოფლად ადგილებში—სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, აგრეთვე პასპორტს ან პირადობის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტს.

ცნობები იმ შვილების შესახებ, რომლებიც დედასთან არ ცხოვრობენ, წარდგენილ უნდა იქნეს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების რაიონულ, საქალაქო განყოფილებაში ექვს თვეში ერთხელ, ამ დებულების 20 და 21 მუხლების შესაბამისად.

31. ყოველთვიური სახელმწიფო დახმარება გაიცემა წარსული თვისათვის, ამასთან დედას შეუძლია ერთდროულად მიიღოს რამდენიმე თვის დახმარება, მაგრამ არა უმეტეს, ვიდრე 6 გასული თვისა.

### V. ორსული ქალებისა და დედებისათვის შეღავათების მინიჭების წესი

32. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების მეექვსე მუხლის შესაბამისად, ყოველ ორსულ ქალს, მუშა და მოსამსახურე ქალს, ეძლევა შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო 77 კალენდარული დღის ხანგრძლივობით (ნაცვლად 63 კალენდარული დღისა, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე ეძლეოდათ), აქედან მშობიარობამდე 35 დღისა და მშობიარობის შემდეგ 42 კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

არანორმალური მშობიარობის ან ტყუპის და მეტის დაბადების შემთხვევაში ქალს მშობიარობის შემდეგ ეძლევა შვებულება 56 კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

შვებულება ქალს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევა სამკურნალო დაწესებულების (ქალთა, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციის, სამშობიარო სახლის, საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების, პოლიკლინიკის, ამბულატორიის) მიერ გაცემული საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე.

33. ორსულობისა და მშობიარობის გამო მიცემული შვებულების მანძილზე მუშა და მოსამსახურე ქალს, რომლებიც განუწყვეტლივ მუშაობენ ამა თუ იმ საწარმოსა ან დაწესებულებაში არანაკლებ სამი თვისა (წინათ დადგენილი 7 თვის ნაცვლად), დახმარება ეძლევა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

34. საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან მორიგი შვებულება მისცენ ორსულ ქალებს და იგი შეუფარდონ ორსულობისა და მშობიარობის გამო მისაცემ შვებულებას.

35. ორსულ ქალს—მუშასა და მოსამსახურეს, ორსულობის მეოთხე თვიდან დაწყებული, საზეგანაკვეთო მუშაობა არ ევალება.

36. მუშა ქალსა და მოსამსახურე ქალს, რომელსაც ჰყავს ძუძუთა ბავშვი, ძუძუთი მისი კვების განმავლობაში ღამით მუშაობა არ ევალება.

37. ყოველ ორსულ ქალს, რომელიც ქალაქში ან მუშათა დაბაში ცხოვრობს, ორსულობის მეექვსე თვიდან დაწყებული, მომარაგების არსებული ნორმების დამატებით ეძლევა ყოველთვიური ულუფა: 800 გრამი ცხიმი-კარაქი, 600 გრამი შაქარი, 1,200 გრამი ბურღული, 12 ლიტრი ნატურალური რძე.

38. ყოველ მეძუძურ ქალს, რომელიც ქალაქში ან მუშათა დაბაში ცხოვრობს, კვების ოთხი თვის განმავლობაში მომარაგების არსებული ნორმების დამატებით ეძლევა ყოველთვიური ულუფა იმ ოდენობით, რაც ამ დებულების 37-ე მუხლშია აღნიშნული.

37-ე მუხლში აღნიშნული ნორმებით პროდუქტები ეძლევათ აგრეთვე საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებათა ძიძებს და ქალებს, რომლებიც თავიანთ ძუძუს რძეს აძლევენ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის კონსულტაციებს, საბავშვო ბაგებსა და ბაგებში, მათ მიერ ბავშვთა კვების ან რძის მიცემის მთელი პერიოდის განმავლობაში.

39. დამატებითი ყოველთვიური ულუფა, რომელიც ეძლევათ ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, საბავშვო დაწესებულებათა ძიძებს და იმ ქალებს, რომლებიც თავიანთ ძუძუს რძეს იძლევიან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების მეორე მუხლის თანახმად, გაიცემა იმ სპეციალური ტალონებით, რომლებსაც გასცემენ რაიონული, საქალაქო სავაჭრო განყოფილებანი ბარათების ბიუროს საშუალებით, სამკურნალო დაწესებულებათა (ქალთა, ბავშვთა კონსულტაციების) ცნობის საფუძველზე.

40. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების მეცხრე მუხლის შესაბამისად, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან გაუწიონ კვების პროდუქტების დახმარებით მეურნეობებიდან და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დაამტკიცონ ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისათვის პროდუქტების დამატებითი მიცემის ნორმები.

კვების დამატებითი პროდუქტები ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისათვის გაიცემა სამკურნალო დაწესებულებათა ცნობების საფუძველზე, რომლებშიც აღნიშნულია ქალის ორსულობის ვადა ან ბავშვის ასაკი.

41. ბავშვის დაბადებისას დედას ან მამას, რომლებიც დაქირავებით მუშაობენ ან შინამრეწველურ-სარეწაო კოოპერაციის წევრები არიან, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ან კოოპერატიული არტელების ურთიერთდახმარების სალაროების სახსრებიდან მიეცემათ ერთდროული დახმარება 120 მანეთის რაოდენობით ახალ დაბადებულისათვის თეთრეულის კომპლექტის შესაძენად (ნაცვლად 45 მანეთისა, რაც 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე ეძლეოდათ) და დახმარება ბავშვის საკვებად 90 მანეთის რაოდენობით.

აღნიშნული დახმარება გაიცემა, თუ ბავშვის დედა ან მამა ამა თუ იმ საწარმოში, დაწესებულებასა ან არტელში მუშაობდა სულ ცოტა სამი თვის განმავლობაში და იმ მშობლის ხელფასი, რომელმაც დახმარება ითხოვა, 400 მანეთს არ აღემატებოდა.

ორი და მეტი ბავშვის დაბადებისას ერთდროული დახმარება აღნიშნული რაოდენობით ეძლევა თვითეულ ბავშვზე.

დახმარება მშობლებს [illegible] მოწმობისა და სამუშაო ადგილიდან ხელფასის ცნობის წარდგენისას.

42. სავაჭრო ორგანიზაციები ვალდებული არიან უზრუნველყონ ახალდაბადებულის მოსახმარად თეთრეულის დაწესებული კომპლექტის მიყიდვა იმ დედებისათვის, რომლებიც ღებულობენ ერთდროულ დახმარებას სოციალური დაზღვევის და კოოპერატიული არტელების ურთიერთდამხმარე სალაროების სახსრებიდან.

ორი ან მეტი ბავშვის დაბადებისას თეთრეულის კომპლექტი ახალდაბადებულისათვის გაიცემა თვითეულ დაბადებულ ბავშვზე.

თეთრეულის კომპლექტი ახალდაბადებულისათვის გაიცემა სამრეწველო საქონლის ბარათების გარეშე ორდერებით, რომლებსაც გასცემენ რაიონული, საქალაქო სავაჭრო განყოფილებანი ბარათების ბიუროს მეშვეობით სამკურნალო დაწესებულებათა (ქალთა, ბავშვთა კონსულტაცია) ცნობის საფუძველზე.

ახალდაბადებულთათვის სამრეწველო საქონლის ბარათების გარეშე თეთრეულის კომპლექტის შეძენის უფლება აქვს აგრეთვე იმ დედას, რომელიც ცხოვრობს ქალაქში ან მუშათა დაბაში და არ იღებს ამ დებულების 41 მუხლში აღნიშნულ დახმარებას.

დედებისათვის, რომლებიც სოფლად ადგილებში ცხოვრობენ, სავაჭრო ორგანიზაციები, სამკურნალო დაწესებულებათა (ქალთა და ბავშვთა კონსულტაცია, ამბულატორია, სასოფლო საექიმო უბანი) ცნობის მიხედვით ვალდებული არიან უზრუნველყონ თვითეულ ახალდაბადებულზე არანაკლებ 10 მეტრი ფართლეულის მიყიდვა.

43. ბაგებსა და საბავშვო ბაღებში ბავშვების შენახვის გადასახადის 50 პროცენტით თავისუფლდებიან მშობლები:

რომლებსაც ჰყავთ სამი შვილი და თვეში იღებენ ხელფასს 400 მანეთამდე; რომლებსაც ჰყავთ ოთხი შვილი და თვეში იღებენ ხელფასს 600 მანეთამდე; რომლებსაც ჰყავთ ხუთი და მეტი შვილი ხელფასის ოდენობისაგან დამოუკიდებლად.

აღნიშნული შეღავათების მისაღებად მშობლები წარადგენენ ცნობას სამუშაო ადგილიდან ხელფასის ოდენობის შესახებ და სახლთმმართველობის ან სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცნობას შვილების რაოდენობის შესახებ.

44. მარტოხელა დედას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების მეოთხე მუხლის საფუძველზე, უფლება აქვს თავისი სურვილის მიხედვით მოათავსოს მის მიერ შობილი ბავშვი საბავშვო დაწესებულებაში (ბავშვთა სახლი, საბავშვო სახლი) მთლიანად სახელმწიფო ხარჯზე შესანახად და აღსაზრდელად.

მარტოხელა დედას უფლება აქვს თავისი ბავშვი აღსაზრდელად უკანვე წაიყვანოს საბავშვო დაწესებულებიდან.

მარტოხელა დედას, რომელსაც სურს მოათავსოს ბავშვი საბავშვო დაწესებულებაში, ამის შესახებ შეაქვს განცხადება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც გასცემს განკარგულებას ბავშვის მიღების შესახებ საბავშვო დაწესებულებაში შესანახად და აღსაზრდელად.

საბავშვო დაწესებულებაში ბავშვის მოთავსებისას დედა ვალდებულია წარუდგინოს საბავშვო დაწესებულების გამგეს დახმარების მიღების პირადი წიგნაკი, რომელშიც საბავშვო დაწესებულების გამგე აღნიშნავს საბავშვო დაწესებულებაში აღსაზრდელად ბავშვის მიღების დღეს, ასევე, თუ მარტოხელა დედა უკანვე წაიყვანს თავის შვილს საბავშვო დაწესებულებიდან, საბავშვო დაწესებულების გამგე დედის პირად წიგნაკში აღნიშნავს საბავშვო დაწესებულებიდან ბავშვის წაყვანის დღეს.

იმ შემთხვევაში, თუ მარტოხელა დედას ჰყავს სხვა შვილებიც, გარდა საბავშვო დაწესებულებაში მყოფებისა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გამოაქვს გადაწყვეტილება დედისათვის დანიშნული დახმარების შეცვლის შესახებ იმ ბავშვთა რაოდენობის შესაბამისად, რომლებიც დარჩენილი არიან მის კმაყოფაზე.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### „გმირი დედის“ საპატიო წოდების დებულების, „სახელოვანი დედის“ I, II და III ხარისხის ორდენისა და I და II ხარისხის მედალ „დედობის მედლის“ სტატუტის, დებულებისა და აღწერილობის დამტკიცების შესახებ

„ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს „გმირი დედის“ საპატიო წოდების დებულება და „გმირი დედის“ ორდენის აღწერილობა.
2. დამტკიცდეს „სახელოვანი დედის“ I, II და III ხარისხის ორდენის სტატუტი და აღწერილობა.
3. დამტკიცდეს I და II ხარისხის მედალ „დედობის მედლის“ დებულება და აღწერილობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 18 აგვისტო.

## დებულება მედალ „დედობის მედლის“ შესახებ

1. მედლით „დედობის მედალი“ ჯილდოვდებიან დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი და ექვსი შვილი.

2. დაჯილდოება მედლით „დედობის მედალი“ სწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით.

3. მედალი „დედობის მედალი“ ორი ხარისხისაა:

„დედობის მედალი“ I ხარისხისა,
„დედობის მედალი“ II ხარისხისა.
მედლის უმაღლესი ხარისხია I ხარისხი.

4. მედლით „დედობის მედალი“ ჯილდოვდებიან:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი,—II ხარისხის მედლით,
დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი,—I ხარისხის მედლით.

5. „დედობის მედლის“ სათანადო ხარისხის მედლით დაჯილდოება სწარმოებს, როცა უკანასკნელ ბავშვს შეუსრულდება ერთი წელი და თუ ამ დედის დანარჩენი შვილები ცოცხლები არიან.

„დედობის მედლის“ მედლით დაჯილდოებისას მხედველობაში მიიღებიან ის შვილებიც, რომლებიც დაიღუპნენ ან უკვალოდ დაიკარგნენ სამამულო ომის ფრონტებზე.

6. იმ დედების დაჯილდოება, რომელთაც ექვსი შვილი ჰყავთ, სწარმოებს მხოლოდ I ხარისხის ერთი მედლით.

7. I და II ხარისხის მედალ „დედობის მედლის“ გადაცემა სწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ.

8. „დედობის მედლის“ I და II ხარისხის მედალს ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეზე და, თუ დაჯილდოებულს სხვა ორდენებიცა და მედლებიც აქვს, ეს მედალი დაიკიდება მათ გვერდით ან მათ ქვევით.

9. მედალი „დედობის მედალი“, დედის სიკვდილის შემთხვევაში, მედლის მოწმობასთან ერთად რჩება მის ოჯახში შესანახავად, როგორც სახსოვარი.

## დებულება „გმირი დედის“ საპატიო წოდების შესახებ

1. „გმირი დედის“ საპატიო წოდება ენიჭება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით იმ დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი.

2. „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭება სწარმოებს, როცა უკანასკნელ ბავშვს შეუსრულდება ერთი წელი და თუ ამ დედის დანარჩენი შვილები ცოცხლები არიან.

„გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭებისას მხედველობაში მიიღებიან ის შვილებიც, რომლებიც დაიღუპნენ ან უკვალოდ დაიკარგნენ სამამულო ომის ფრონტებზე.

3. დედებს, რომლებსაც მიენიჭებათ „გმირი დედის“ საპატიო წოდება, გადაეცემათ ორდენი „გმირი დედა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

4. ორდენს „გმირი დედა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელს გადასცემს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები.

5. ორდენს „გმირი დედა“ დაჯილდოებულნი ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეზე და, თუ დაჯილდოებულს სხვა ორდენები და მედლებიც აქვს, ეს ორდენი დაიკიდება მათ ზევით.

6. ისინი, ვისაც მიენიჭება „გმირი დედის“ საპატიო წოდება, სარგებლობენ შეღავათებითა და უპირატესობებით სსრ კავშირის ორდენების საერთო დებულების 10-14 მუხლების თანახმად.

7. „გმირი დედის“ საპატიო სახელწოდებამინიჭებული დედის სიკვდილის შემთხვევაში ორდენი „გმირი დედა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი რჩება მის ოჯახში შესანახავად, როგორც სახსოვარი.

## სტატუტი „სახელოვანი დედის“ ორდენისა

1. „სახელოვანი დედის“ ორდენით ჯილდოვდებიან ის დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი, რვა და ცხრა შვილი.

2. „სახელოვანი დედის“ ორდენით დაჯილდოება სწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, ამასთან დაჯილდოებას შემდეგ ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

3. „სახელოვანი დედის“ ორდენი სამი ხარისხისაა:

„სახელოვანი დედის“ I ხარისხის ორდენი,
„სახელოვანი დედის“ II ხარისხის ორდენი,
„სახელოვანი დედის“ III ხარისხის ორდენი.
ორდენის უმაღლესი ხარისხია I ხარისხი.

4. „სახელოვანი დედის“ ორდენით ჯილდოვდებიან:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი,—III ხარისხის ორდენით,
დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი,—II ხარისხის ორდენით,
დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი,—I ხარისხის ორდენით.

5. „სახელოვანი დედის“ სათანადო ხარისხის ორდენით დაჯილდოება სწარმოებს, როცა უკანასკნელ ბავშვს შეუსრულდება ერთი წელი და თუ ამ დედის დანარჩენი შვილები ცოცხლები არიან.

„სახელოვანი დედის“ ორდენით დაჯილდოებისას მხედველობაში მიიღებიან ის შვილებიც, რომლებიც დაიღუპნენ ან უკვალოდ დაიკარგნენ სამამულო ომის ფრონტებზე.

6. იმ დედების დაჯილდოება „სახელოვანი დედის“ ორდენით, რომლებსაც ჰყავთ რვა და ცხრა შვილი, სწარმოებს შესაბამისი ხარისხის მხოლოდ ერთი ორდენით.

7. „სახელოვანი დედის“ I, II და III ხარისხის ორდენების გადაცემა სწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების მიერ და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ.

8. „სახელოვანი დედის“ I, II და III ხარისხის ორდენს ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეზე და, თუ დაჯილდოებულს სხვა ორდენები და მედლებიც აქვს, ეს ორდენი დაიკიდება მათ ზევით.

9. „სახელოვანი დედის“ ორდენით დაჯილდოებული დედები სარგებლობენ შეღავათებითა და უპირატესობებით სსრ კავშირის ორდენების საერთო დებულების 10-14 მუხლების თანახმად.

10. „სახელოვანი დედის“ ორდენი, დედის სიკვდილის შემთხვევაში, ორდენის წიგნაკთან ერთად რჩება მის ოჯახში შესანახავად, როგორც სახსოვარი.

# მხურვალე სალამი საბჭოთა სამშობლოს მამაც მფრინავებს!

## საჰაერო ბრძოლის ოსტატი

მოიერიშეთა მეთაური რადიაკინა და ავიაგამანადგურებელთა მეთაური ტატანაშვილი რუკას დაჰყურებდნენ. საჰაერო ზვერვამ ამბავი მოიტანეს, რკინიგზის სადგურის მახლობლად მდებარე აეროდრომზე მტერმა თავი მოუყარა რამდენიმე ათეულ თვითმფრინავსო. ეს იყო ჰიტლერელთა მოწინავე ხაზის ერთ-ერთი აეროდრომი.

მალე ფაშისტთა აეროდრომის განადგურების გეგმა მზად იყო და ჩვენი მფრინავები შეუდგნენ მის შესრულებას.



თვითმფრინავების ჯგუფი მიზნისაკენ გაემართა. დარტყმა სრულიად მოულოდნელი იყო გერმანელებისათვის. მეწინავე თვითმფრინავებმა დაუშინეს ფაშისტთა კარვებსა და ტექნიკურ საშუალებებს და აიძულეს გერმანელები გაქცეულიყვნენ თავიანთი თვითმფრინავებისაკენ, მაგრამ აქ ფაშისტები მანქანებთან ერთად ილუპებოდნენ მძლავრი „ილიუშინების" ცეცხლისაგან. აეროდრომს ორი მხრიდან გაუჩნდა ხანძარი—იწვოდნენ „მესერშმიტები". ორი თვითმფრინავი, რომლებმაც აფრენა სცადეს, იქვე გადაყირავა ბომბების აფეთქებამ.

ამ დროს მეზობელი მოედნებიდან დაიწყეს ჰაერში აფრენა გერმანელთა ერთეულმა ავიაგამანადგურებლებმა. მათ გააფთრებით მოჰქონდათ იერიშები ჩვენს თვითმფრინავებზე. ლეიტენანტმა სალომატინმა ორი მოკლე ჯერით ჩამოაგდო „მესერშმიტი", რომელიც ცეცხლში გახვეული დაეცა აეროდრომის მახლობლად. მას მიჰყვა კიდევ ორი თვითმფრინავი, რომლებიც ჩამოაგდეს მეთაურ ტატანაშვილის მფრინავებმა.

დაბლა, მიწაზე კი ხანძარი კვლავ მძვინვარებდა. იწვოდა მტრის 19 თვითმფრინავი. სულ ამ დღეს მოსპობილ იქნა მტრის 24 თვითმფრინავი, დანარჩენები სერიოზულად დაზიანდნენ.

ტატანაშვილი საჰაერო ბრძოლის ნამდვილი ოსტატია. ავიაგამანადგურებლების ბრძოლა მანევრირებისა და ცეცხლის შეხამებას წარმოადგენს. მანევრი ეხმარება მფრინავს დაიკავოს რაც შეიძლება ხელსაყრელი საცეცხლე პოზიცია. ასეთი ხელსაყრელი პოზიცია საჰაერო ბრძოლაში ძალიან ცოტაა. აქ უმთავრესი პირობაა ინიციატივის ხელში ჩაგდება და მისი შენარჩუნება.

ტატანაშვილის მფრინავებმა საჰაერო ბრძოლების ყველა ხერხის გამოყენების საქმეში შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს. საკმარისია ითქვას, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩვენი მფრინავების ჯგუფმა ტატანაშვილის მეთაურობით 24 „მესერშმიტი" ჩამოაგდო, თვითონ კი მხოლოდ ორი თვითმფრინავი დაჰკარგა.

ამასწინათ პოლკოვნიკ ტატანაშვილის ცოლმა მიიღო შვილის წერილი ფრონტიდან. ოთარ ტატანაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან საშუალო სკოლაში სწავლობდა, ახლა სერჟანტია და მსახურობს იმ ნაწილში, რომელსაც მამამისი მეთაურობს. ოთარი დედას ატყობინებს მამის ამბავს:

„მამამ მიიღო სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი და მიიღო აი რისთვის: როდესაც იგი გაფრინდა დავალების შესასრულებლად ახალგაზრდა მფრინავებთან ერთად, მათ სასტიკი ბრძოლა მოუხდათ მტრის თვითმფრინავებთან. მამა დაიჭრა სახეში და კისერში, მაგრამ მაინც ჩამოაგდო ერთი „ფოკე-ვულფი" და მშვიდობიანად მოიყვანა ყველანი ჩვენს აეროდრომზე. ახლა მის ანგარიშზე მტრის 7 ჩამოგდებული თვითმფრინავი ითვლება".

ამის შემდეგ ეს ანგარიში რამდენიმე თვითმფრინავით გაიზარდა.

ესტატე ზაქარიას-ძე ტატანაშვილი წითელი არმიის კადრის ოფიცერია. იგი იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც გაიარა მეფის დროის და მენშევიკთა ბატონობის ყველა სიმწარე და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა ფართო გზა თავისი ნიჭის და უნარის გამოჩენისათვის. 1923 წელს მან დაამთავრა სავიაციო სკოლა. 1924 წელს საუკეთესო ფრენისათვის მიიღო საკავშირო ცაკის სიგელი, ხოლო 1926 წელს დაამთავრა უმაღლესი პილოტაჟის სკოლა, ამავე ხანებში იგი შედის საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში.

1939 წელს თბილისში საპირველმაისო პარადის დროს ბერიას მოედნის თავზე გამოჩნდა ჰკვირცხლი ვერცხლისფერი თვითმფრინავი. მან რამდენჯერმე შემოუარა მოედანს და ყველას ყურადღება მიიპყრო უმაღლესი პილოტაჟის შესანიშნავი ფიგურების შესრულებით. თვითმფრინავი ჰაერში სასწაულებს ახდენდა. ამ მანქანას მართავდა მფრინავი ესტატე ტატანაშვილი.

მამაც სტალინურ შევარდენს იმავე წელს მოუხდა თავისი ოსტატობის გამოყენება მტერთან ბრძოლაში. თეთრფინელთა ბანდების წინააღმდეგ ომის დროს პირველად იცნა თავი საბრძოლო პირობებში ტატანაშვილის უნარმა და სტალინურმა წრთობამ. მან მოკლე ხნის განმავლობაში თავის მფრინავთა ჯგუფისაგან შეჰქმნა მტკიცე საბრძოლო კოლექტივი, რომელიც საუკეთესოდ ასრულებდა ყოველგვარ საბრძოლო დავალებებს. მარტო ექვსი საბრძოლო გაფრენისას მან ჰაერში დაჰყო 63 საათი. თეთრფინელთა წინააღმდეგ საუკეთესო ბრძოლისათვის ტატანაშვილი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

სამამულო ომმა ტატანაშვილს პოლონეთის საზღვარზე მოუსწრო. ომის დაწყების პირველი დღიდან იგი იბრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ტატანაშვილმა გამოიარა საბჭოთა მიწა-წყლისათვის მწარე უთანასწორო ბრძოლების ხანა, მან იცის, თუ რა შეუპოვარი ბრძოლებით მოიპოვეს ჩვენმა მფრინავებმა უპირატესობა ჰაერში. იგი ახლა ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაწილეა ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევისა.

პოლკოვნიკ ტატანაშვილის მფრინავებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქ ბრესტის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, რისთვისაც უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის მადლობა დაიმსახურეს.

წითელი დროშის ორი ორდენი, სამამულო ომის I ხარისხის ორდენი, ალექსანდრე ნეველის ორდენი და კუტუზოვის II ხარისხის ორდენი—აი ის ჯილდო, რაც დაიმსახურა სამშობლოს ერთგულმა დამცველმა ესტატე ტატანაშვილმა.

ნ. ილოშვილი



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ორდენოსანი მფრინავები რუსიკო ჟორდანია, მ. ივანოვი; მფრინავი შ. ახალაძე. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## გამომცდელ მფრინავებთან

(„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ცაში წერტილი გამოჩნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ფოლადის ფრინველი აეროდრომზე დაეშვა. თვითმფრინავის კაბინიდან გამოვიდა მფრინავი შალვა ახალაძე.

შალვას ფრენის რამდენიმე წლის სტაჟი აქვს. 1942 წელს, როდესაც გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ურდოები კავკასიისაკენ მოიწევდნენ, მას ყოველგვარ ამინდში, ყოველგვარ პირობებში მიჰქონდა საომარი მასალა და სურსათი ჩვენი ნაწილებისათვის, რომლებიც ანადგურებდნენ საძულველ მტერს. ახლა ახალაძე საავიაციო ქარხნის საფრენოსნო რაზმში მუშაობს.

— მოვედით,—უთხრა შალვამ კაბინაში მჯდომ მეორე მფრინავს, რომელიც აქ ახალი საბრძოლო მანქანის მისაღებად გამოგზავნეს ნაწილიდან.

მაგრამ ჩაბარების წინ ახალმა საბრძოლო მანქანამ საფრენოსნო გამოცდა უნდა გაიაროს.

თვითმფრინავის გამომცდელი გონივრული რისკის ადამიანია. ახალი მანქანის გაშვებაში უკანასკნელი სიტყვა გამომცდელს ეკუთვნის. იგი სცდის მანქანას, არკვევს მის ვარგისიანობას ბრძოლისათვის.

ორგზის ორდენოსანი მიხეილ ივანოვი, რომელსაც ყველა ტიპის თვითმფრინავით უფრენია, შესანიშნავი გამომცდელია.

ყოველ დილას თვითმფრინავთა გამოსაცდელი სადგურის ფანჯრიდან მოსჩანს საფრენოსნო მოედნისაკენ მტკიცე ნაბიჯით მიმავალი ივანოვი. მფრინავი ჩერდება მწკრივში ჩაყენებულ ავიაგამანადგურებლებთან. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი უკვე ჰაერშია და ამოწმებს ქარხნიდან ახალგამოსულ ერთ-ერთ მანქანას.

ჰაერში 30 წუთს რჩება. და ამ წუთებში ივანოვი ამოწმებს თვითმფრინავის ხარისხს, მოტორს, ბალანსირებას, ხელსაწყოების მუშაობას. ის ხან მაქსიმალური სისწრაფით ავა მაღლა, ხან გვერდზე გაქანდება, ხან ძირს დაეშვება. შემდეგ მფრინავი ამოწმებს თვითმფრინავის მანევრირებას. იგი იწყებს ვირაჟებს, უმაღლესი პილოტაჟის სხვადასხვა თავბრუდამხვევ ფიგურებს. ბოლოს იწყება შეიარაღების შემოწმება.

ივანოვსაც, როგორც ყოველ გამომცდელ მფრინავს, ხვდება ჰაერში ხიფათი, მაგრამ მას ყოველთვის შველის აუღელვებლობა, ზუსტი ანგარიში, ოსტატობა.

— ერთხელ, — მოგვითხრობს ივანოვი, — თვითმფრინავის გამოცდის შემდეგ დავაპირე აეროდრომზე დაშვება. გამოვუშვი შასი, მაგრამ მარცხენა თვალი არ გამოვიდა. 55 წუთი დავყავი ჰაერში, ვცდილობდი შასის გამოშვებას. ბოლოს გადავწყვიტე დავშვებულიყავი ერთი შასით, მშვიდობიანად დავსვი აეროდრომზე თვითმფრინავი, გადავარჩინე მანქანაც და საკუთარი თავიც.

ყოველდღიურად რამდენიმე საბრძოლო თვითმფრინავს სცდის ივანოვი, საგზურს აძლევს მას: „ვარგისია ექსპლოატაციისათვის წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ნაწილებში".

დღეს, როდესაც იგი ახლად გამოცდილი თვითმფრინავის პასპორტში სწერდა ამ სიტყვებს, მასთან მივიდა ორდენოსანი მფრინავი რუსიკო ჟორდანია, რომელიც ადევნებდა თვალს მის ფრენას.

— რა საუცხოოდ დაფრინავთ,—უთხრა მან ივანოვს.

ისინი იქვე ჩამოსხდნენ თვითმფრინავთან. ზაფხულის წყნარი საღამო დგებოდა. რუსიკო უამბობდა გამოცდილ მფრინავს თავის ბავშვობაზე, სწავლაზე, საფრენოსნო მუშაობაზე სატრანსპორტო თვითმფრინავით მოსკოვ-სიმფეროპოლის ხაზზე, ავიაქარხანაში მუშაობაზე, თავის ოცნებებზე. ივანოვი გულდასმით უსმენდა და ბოლოს უთხრა:

— კარგი მომავალი გაქვს, რუსიკო!

ლ. ზარიძე

> ათასობით შესანიშნავი მფრინავი, შტურმანი და საჰაერო მსროლელი სულ უფრო და უფრო ამრავლებს ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმატებებს და ანადგურებს მტერს ხმელეთზე და ჰაერში.
>
> ი. სტალინი

## მაიორი ჭოლოშვილი და მისი მფრინავები

(„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

დილაადრიან უკვე აეროდრომზე ვიყავით. ჩვენ შემოგვეგება შუატანის, შავგვრემანი კაცი, რომელსაც მკერდს უმშვენებდა ორი ორდენი. ეს იყო ქვეგანაყოფის მეთაური მაიორი აკაკი ვარლამის-ძე ჭოლოშვილი. მან თავაზიანად შეგვიპატიჟა თავის კაბინეტში.

— დღეს საფრენოსნო ამინდი არ არის, — სთქვა მან,—მაგრამ ჩემს არწივებს ამინდი ვერ აჩერებს.

გამოველაპარაკეთ მაიორს.



აკაკი ვარლამის-ძე ჭოლოშვილმა დაამთავრა საფრენოსნო სკოლა და ლენინგრადის სამხედრო ოლქში მიილო დანიშვნა. ნაწილში იგი სისტემატურად იუმჯობესებდა საბრძოლო ოსტატობას.

1939 წელს, როცა თეთრფინელებთან ომს ვაწარმოებდით, ამხ. ჭოლოშვილი იღებს სარდლობის ბრძანებას გაფრინდეს ფრონტზე თავისი ესკადრილიით. მამაცი მფრინავის ესკადრილია მტრის რისხვად გადაიქცა. იგი ანადგურებს მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

მთავრდება ომი. აკაკი ვარლამის-ძეს არხანგელსკის ოლქში გზავნიან.

როდესაც გერმანელ ფაშისტთა ურდოები შემოიჭრნენ ჩვენს წმიდათა-წმიდა მიწა-წყალზე, ჭოლოშვილი და მისი მფრინავები კვლავ ჩაებნენ მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

კაპიტან ჭოლოშვილის ესკადრილიამ ბრძანება მიიღო დაეზვერა მოწინააღმდეგის აეროდრომი. ჰაერში ხუთი ავიაგამანადგურებელი აფრინდა. როცა თვითმფრინავები, რომლებიც კაპიტან ჭოლოშვილს მიჰყავდა, მტრის აეროდრომს უახლოვდებოდნენ, ჰაერში გამოჩნდა თერთმეტი „მესერშმიტი". ქვევიდან საზენიტო ქვემეხები უშენდნენ. ჩვენი მფრინავები არ გაეცალნენ საზენიტო ქვემეხების დაშენის არეს და მოწინააღმდეგეს ეკვეთნენ. ჯგუფურ ბრძოლაში მათ ჩამოაგდეს ორი თვითმფრინავი, თვითონ კი უდანაკლისოდ დაეშვნენ თავიანთ აეროდრომზე.

— ბინდდებოდა, — მოგვითხრობს აკაკი ვარლამის-ძე,—როცა ბრძანება მივიღე დამეზვერა და იერიში მიმეტანა მოწინააღმდეგის აეროდრომზე. მტრის აეროდრომზე იერიშის მისატანად 6 ავიაგამანადგურებელი წავიყვანე. მალე მტრის აეროდრომს დავტრიალებდით თავს. ბრძანება გავეცი საიერიშოდ გაშლის შესახებ. პირველივე თავდასხმისას ცეცხლი წავუკიდეთ მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავს, ხოლო თვითმფრინავი, რომელმაც სცადა აფრენილიყო, ჩამოვაგდეთ. ეს დავალება რომ შევასრულეთ, ჩვენი აეროდრომისაკენ გამოვბრუნდით, მაგრამ ამ დროს რადიოთი ახალი ბრძანება მივიღეთ—დაგვეზვერა მოწინააღმდეგის საფრონტო კომუნიკაციები. მოწინააღმდეგის განლაგების წინა კიდესთან მიახლოებისას, შევნიშნე, რომ ერთ ბატალიონამდე გერმანელი გადმოდიოდა ტბაზე და მოემართებოდა წინა კიდისაკენ. ჩვენ მაშინვე დავიწყეთ იერიშისათვის და თავს დავესხით კოლონას, ვუშენდით, სანამ ვაზნა არ გამოგველია. ამ ცეცხლით თავდასხმაში მოვსპეთ 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამ დავალების შესრულებისათვის ფრონტის სარდლობამ ჩემს ესკადრილიას მადლობა გამოუცხადა.

ჩვენი საუბარი ტელეფონის ზარმა შესწყვიტა. დივიზიის მეთაური საბრძოლო ბრძანებას გადმოსცემდა. მაიორმა ჭოლოშვილმა შემოგვთავაზა წავყოლოდით მას აეროდრომზე.

რამდენიმე ხნის შემდეგ აეროდრომს მივუახლოვდით. მფრინავები თავიანთ მანქანებში ისხდნენ და მაიორის ბრძანებას ელოდნენ.

ჰაერში შუშხუნა ასრიალდა და ცაში ავიდნენ საბრძოლო მანქანები. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი ჰორიზონტს გასცდნენ.

ჩვენ აეროდრომზე დავრჩით. მაიორმა, რომელმაც იცოდა, თუ რა გვეინტერესებოდა ჩვენ, პაპიროსი გააბოლა და განაგრძო თავისი მოგონებანი.

— მარტის ცივი, ნესტიანი დღე იყო. შეგვატყობინეს, რომ გერმანელთა თვითმფრინავებს სამი დღე-ღამის განმავლობაში იერიში მიჰქონდათ ჩვენს მეზობელ რაზმზე. სარდლობამ უბრძანა ჩემს ესკადრილიას გზა გადაეჭრა მტრის თვითმფრინავებისათვის, რომლებიც ჩვენი რაზმის საიერიშოდ მოდიოდნენ.

სამ მფრინავთან ერთად მოვემზადე გასაფრენად. მალე ჩვენი ოთხეული ჰაერში ავიდა. მივდიოდით მცელავი ფრენით. მივუახლოვდით ჩვენი რაზმის განლაგებას; შევნიშნე, რომ გერმანელთა ორი თვითმფრინავი მოდიოდა ჩვენს რაზმზე იერიშის მოსატანად. მტრის მანქანებს მივუახლოვდით და ტყვიამფრქვევთა პირველი ჯერი დავუშინეთ. გერმანელმა მფრინავებმა დაინახეს, რომ მდგომარეობა გამოუვალი იყო და გაქცევა სცადეს. მე სრულ სიჩქარეზე გადავედი. დანარჩენი მფრინავებიც მომყვნენ. მალე დავეწიეთ მტერს. ესკადრილიის კომისარი უფროსი პოლიტხელი ფაიერმანი ერთ თვითმფრინავს ბოლოში მოექცა და მეორე ჯერით ცეცხლი წაუკიდა მას. ალმოდებული თვითმფრინავი ძირს წამოვიდა. მეორე ფაშისტს მცელავი ფრენით უნდოდა თავი დაეღწია დევნისათვის. იგი ზედ ეკროდა მიწის წვეროებს. ჩემს ავიაგამანადგურებლებს ზედიზედ მიჰქონდათ იერიში და მანამდე არ მოეშვნენ, სანამ მტრის თვითმფრინავი მიწას არ დაენარცხა.

ამრიგად, ჩემმა ესკადრილიამ ამ ბრძოლაში მოსპო მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი, ხოლო მეზვერავი რაზმი თავისუფლად წავიდა წინ.

როცა მაიორი თხრობას ამთავრებდა, ცაში გამოჩნდნენ სწორედ ის თვითმფრინავები, რომლებიც ჩვენს დროს წავიდნენ საბრძოლო დავალებაზე. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი უკვე ჩამწკრივებული იყვნენ საბრძოლო წყობილებით, ხოლო ესკადრილიის მეთაური ორდენოსანი ლეიტენანტი დ. ლიკოვი მოახსენებდა:

— ამხანაგო მაიორო! თქვენი დავალება შესრულებულია!

ვლ. გინზბურგი

ნ აეროდრომი.

ნ. ჟურავლიოვი

ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი

## სტალინური ავიაცია სამშობლოსათვის ბრძოლებში

სტალინური ავიაციის დღეს საბჭოთა ხალხი წელს აღნიშნავს წითელი არმიის დიად გამარჯვებათა ვითარებაში. ჰიტლერული გერმანია, იმ მძიმე დამარცხებათა შედეგად, რაც მას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მივაყენეთ, სამხედრო-პოლიტიკურ კრიზისს განიცდის, კატასტროფის პირას დგას.

საბჭოთა ავიაციამ, რომელიც წითელი არმიის ჯარების ერთ-ერთ ძირითად გვარეობას წარმოადგენს, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჰიტლერული სამხედრო მანქანისათვის დარტყმების მიყენებაში. ომმა სავსებით დაადასტურა შემდეგი დებულების სამართლიანობა: „ვინც ძლიერია ჰაერში, იგი საერთოდ ძლიერია". ამიტომ ჰაერში ბატონობისათვის ბრძოლა ჩვენი სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა.

ჩვენი ავიაცია ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ორთაბრძოლას ეწეოდა გერმანელ ფაშისტთა ავიაციასთან. ბრძოლა მეტად ძნელი და რთული იყო. მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ ამ ბრძოლაში, ამასთან არა მარტო ვაუძლურეთ გერმანელთა საჰაერო არმადას, არამედ აუნაზღაურებელი ზარალიც მივაყენეთ მას.

ომის სამი წლის განმავლობაში ჰიტლერელთა ავიაციამ დაჰკარგა 50 ათასი თვითმფრინავი, აქედან სულ ცოტა 80 პროცენტი ჩამოგდებულია ჩვენი მფრინავების მიერ საჰაერო ბრძოლებში. გერმანელების მიერ დაკარგულ თვითმფრინავთა 50 პროცენტზე მეტს ბომბდამშენები შეადგენს. ამავე ხნის განმავლობაში მტერმა დაჰკარგა საფრენოსნო შემადგენლობის 120 ათასამდე კაცი. ამ ზარალმა მნიშვნელოვნად შეამცირა გერმანიის ავიაციის ძლიერება. 1944 წელს გერმანელები 4-5-ჯერ ნაკლებ გაფრენას ახდენენ, ვიდრე 1941-1942 წლებში ახდენდნენ. ომის დასაწყისში ჩვენი სამხედრო-საჰაერო ძალები იფარავდნენ წითელი არმიის ნაწილების გაშლას. ავიაციის აქტიური ხელშეწყობით ხდებოდა სამრეწველო საწარმოთა ევაკუაცია ჩვენი ქვეყნის სიღრმეში. მფრინავები იცავდნენ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრებსა და კომუნიკაციებს.

საბჭოთა ავიაცია ომის პირველ პერიოდშივე წარმატებით ბომბავდა სამხედრო ობიექტებს მტრის ღრმა ზურგში. ბერლინზე, კენიგსბერგზე, მემელზე, პლოეშტსა და სხვა დიდმნიშვნელოვან სამრეწველო და სტრატეგიულ პუნქტებზე თავდასხმებმა სერიოზული ზიანი მიაყენეს ფაშისტებს. საბჭოთა ავიაცია დაეხმარა წითელ არმიას „ელვისებური" ომის ჰიტლერული გეგმის ჩაშლაში.

ჰაერში ბატონობისათვის ბრძოლაში ჩვენმა ავიაციამ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია. საბჭოთა სარდლობა ოსტატური მანევრირებით უზრუნველჰყოფდა თვითმფრინავთა რიცხობრივ უპირატესობას გადამწყვეტი მიმართულებებით მაშინაც კი, როცა მოწინააღმდეგეს ჩვენზე მეტი თვითმფრინავი ჰქონდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საფრენოსნო შემადგენლობის ხარისხობრივ უპირატესობას გერმანელებისაზე. ჰაერში ბატონობისათვის ბრძოლის ბედი სტალინურმა მფრინავებმა გადასწყვიტეს. საბჭოთა ასსების მამაცობასა და გულადობას მრავალი მაგალითი მოწმობს.

ჩვენმა მფრინავებმა არ იციან შიში ბრძოლაში, მთელი მათი მოქმედება გამსჭვალულია მხოლოდ ერთი მისწრაფებით: შეასრულონ ამოცანა, რადაც უნდა დაუჯდეთ მოსპონ მტერი. მათ გაბედულად მიაქვთ იერიში მტერზე, მაშინაც კი, როცა მტერი რიცხობრივად სჭარბობს მათ. ლეიტენანტი გოროვეცი მტრის ავიაგამანადგურებლის დევნის დროს თავის ჯგუფს მოსწყდა. აეროდრომზე რომ ბრუნდებოდა, გოროვეცმა დაინახა გერმანელთა 20 მოპიკირე ბომბდამშენი „იუნკერს-87", რომლებიც ჩვენი ჯარების დასაბომბავად მოფრინავდნენ. ლეიტენანტმა გაბედულად მიიტანა იერიში „იუნკერსებზე" და ცხრა მათგანი ჩამოაგდო, დანარჩენი კი უკუაქცია.

გერმანელ მფრინავთა წინააღმდეგ ბრძოლაში ომის დღეებში ჩამოყალიბდა საბჭოთა ასის, უშიშარი მფრინავის ტიპი, რომელმაც იცის საჰაერო ბრძოლის ყველა საიდუმლოება, ვირტუოზულად არის დაუფლებული პილოტობის ტექნიკას. ბევრი ჩვენი ასი თავზარსა სცემს გერმანელ მფრინავებს. სახელგანთქმულმა საბჭოთა ასმა პოლკოვნიკმა პოკრიშკინმა პირადად ჩამოაგდო 59 თვითმფრინავი.

ჩვენი მფრინავების მაღალმა ოსტატობამ, გმირობამ, გულადობამ და მამაცობამ ის გამოიწვია, რომ მტრის ავიაციის საფრენოსნო შემადგენლობას ეშინია ჩვენს ტერიტორიაზე გამოჩენისა. მოჰკრავენ თუ არა თვალს ჩვენს შევარდნებს, ფაშისტი სვავები მყისვე აბრუნებენ პირს და სასწრაფოდ გარბიან.

ჰაერში ბატონობისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნოდა და ეკუთვნის ისეთ დიდმნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიც არის თვითმფრინავთა ხარისხი და რაოდენობა. საბჭოთა კონსტრუქტორების, საავიაციო მრეწველობის მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების მეცადინეობით შეიქმნა და საკმაო რაოდენობითაც პირველხარისხოვანი საბრძოლო მანქანები.

ჩვენი ავიაგამანადგურებლები „იაკოვლევები" და „ლავოჩკინები" უფრო ჩქარა ფრინავენ და უფრო მალე ადიან მაღლა, ვიდრე გერმანიის ავიაგამანადგურებლები „მესერშმიტები" და „ფოკე-ვულფები". ჩვენი ბომბდამშენი „პეტლიაკოვი" ფრენის სიჩქარით გერმანიის ყოველ ბომბდამშენს სჯობნის, ხოლო მოიერიშე „ილიუშინს" არც ერთი მხრივ ბადალი არ მოეპოვება მსოფლიოში.

ამ ფაქტორთა ერთობლიობამ საშუალება მისცა საბჭოთა ავიაციას 1943 წელსვე მიეღწია ჰაერში ბატონობისათვის გადამწყვეტი მიმართულებებით და უდიდესი ზიანი მიეყენებინა მოწინააღმდეგის საჰაერო ძალებისათვის. ძალთა თანაფარდობა წელს კიდევ უფრო ხელსაყრელი გახდა ჩვენთვის.

ჰაერში ბატონობისათვის ბრძოლასთან ერთად საბჭოთა ავიაცია მთელი ომის მანძილზე უშუალო მონაწილეობას იღებს ხმელეთზე წარმოებულ საბრძოლო მოქმედებაში. მისი დარტყმები მტრის სახმელეთო ნაწილთა წინააღმდეგ გამანადგურებელი იყო. ეს დარტყმები ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენდნენ ცალკეული ბრძოლებისა და მთელი ოპერაციების ბედზე.

1941 წელს ჩვენმა ავიაციამ სმოლენსკის მიმართულებით გაანადგურა გერმანიის 39-ე სატანკო კორპუსი. ამან საშუალება მისცა წითელ არმიას მომზადებულიყო სმოლენსკის დასაცავად და ხანგრძლივად შეეფერხებინა მტრის წინსვლა მოსკოვისაკენ. 1942 წლის ზაფხულში სტალინგრადის მიმართულებით ჩვენმა საჰაერო დაზვერვამ დროულად აღმოაჩინა მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო ჯარების დიდი ძალების მოძრაობის მიმართულების შეცვლა. მტერი გამოემართა დონის მოსახვევში, სტალინგრადისაკენ. საჭირო იყო რადაც უნდა დაგვჯდომოდა შეგვეჩერებინა მოწინააღმდეგის სვლა ან თუნდაც შეგვენელებინა მისი შემოტევის ტემპი იმდენად, რომ შესაძლებელი გამხდარიყო სტალინგრადთან საჭირო ძალების თავმოყრა. დროის მოგების ამოცანა ავიაციას დაეკისრა, და მან წარმატებით შეასრულა ეს.

სტალინგრადისათვის ბრძოლებში გერმანელებმა იგრძნეს იმხანად ახალი ჩვენი ავიაგამანადგურებლის „იაკოვლევ-1"-ის მთელი ძალა და სიმძლავრე. ამ თვითმფრინავებით მამაცი სტალინური შევარდნების პოლკმა საბჭოთა კავშირის გმირ ამხანაგ კლეშჩოვის მეთაურობით მდინარე დონის მოსახვევში გადასასვლელის დაცვისას ერთი დღის განმავლობაში ჩამოაგდო მტრის 37 თვითმფრინავი, თვითონ კი არც ერთი მანქანა არ დაუკარგავს.

ჩვენი ხალხის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება გმირი კომკავშირელის მფრინავ ვიქტორ როგალსკის ნათელი სახე. მან ლეგენდარულ კაპიტან გასტელოს მაგალითისამებრ თავისი დაზიანებული თვითმფრინავი თავს დაატეხა მტერს. კომკავშირელი როგალსკი ამ დღეს ორჯერ წავიდა გერმანელთა იმ ტანკების საიერიშოდ, რომლებიც სტალინგრადის გარეუბნებზე მოიწევდნენ. როცა იგი მესამედ გაფრინდა საიერიშოდ, მტრის საზენიტო ქვემეხის ყუმბარა თვითმფრინავის მოტორს მოხვდა. მანქანას ალი მოედო, ხსნისათვის ერთი გამოსავალი რჩებოდა—პარაშუტი. მაგრამ გმირმა კომკავშირელმა გადასწყვიტა დაღუპულიყო, და არ დანებებულიყო. მან წაიყვანა თავისი ცეცხლმოდებული მანქანა ტანკების შეჯგუფების შუაგულში, მტერს მძიმე ზარალი მიაყენა, დაარღვია საბრძოლო წყობა ჯავშნიანი ურჩხულებისა, რომლებიც ქალაქის ცენტრისაკენ მოიწევდნენ.

სტალინგრადისათვის ბრძოლებში ავიაცია დაეხმარა ჩვენს ჯარებს დაეცვათ გმირი ქალაქი. როცა ჩვენი ჯარები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ, ავიაცია მძლავრი უროს როლს ასრულებდა, რომელიც ამსხვრევდა გერმანელთა თავდაცვას. სტალინგრადთან გერმანელთა გარშემორტყმის შემდეგ ავიაციამ მაგრად დახურა სტალინგრადის „ქვაბი" ჰაერიდან.

საბჭოთა ავიაციამ სახმელეთო ჯარებთან მჭიდრო თანამოქმედებით გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია 1943 წელს წითელი არმიის ივლისის თავდაცვით ბრძოლებშიც „კურსკის რკალზე". ჩვენი თვითმფრინავები არა მარტო მტრის მანქანებს ანადგურებდნენ ჰაერში, არამედ დიდ ნგრევასაც იწვევდნენ მტრის ზანაკში ხმელეთზე, სპობდნენ გერმანელთა „ვეფხვებსა" და „ფერდინანდებს".

ამ ბრძოლების დროს გერმანელთა ტანკებზე საავიაციო დარტყმების ეფექტიანობას მოწმობს ასეთი ფაქტი: გერმანელთა მე-9 სატანკო დივიზიამ თავდაპირველი მდგომარეობა დაიკავა პონირის რაიონში შეტევისათვის, მაგრამ იერიშზე მის გადმოსვლამდე 20 წუთით ადრე თვით მასზე მიიტანეს იერიში ჰაერიდან საბჭოთა მოიერიშე ავიაციის დიდმა ძალებმა. გერმანელებს დაუწვით 70-მდე ტანკი, ხოლო დანარჩენები, დაღუპვისათვის თავი რომ დაეღწიათ, გაიფანტნენ. მტრის დიდი სატანკო იერიში ჩაიშალა.

როცა წითელი არმია გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა და გერმანელები დასავლეთისაკენ გარეკა, ჩვენი ავიაცია თავისი მძლავრი დარტყმებით გზას უკაფავდა საბჭოთა ჯარებს გამარჯვებისაკენ. იგი ახშობდა მტრის არტილერიასა და ნაღმსატყორცნებს, ანადგურებდა მის ტანკებს, ცოცხალ ძალას, დემორალიზაცია შეჰქონდა რეზერვში მყოფ მოწინააღმდეგის ჯარებში.

გამარჯვება ყირიმში მოპოვებულ იქნა ჩვენი ავიაციის აქტიური მონაწილეობით. მფრინავები გამარჯვების გზას უკაფავდნენ ქვეითს ჯარსა და ტანკებს კარელიის ყელზე, მათ გადამწყვეტი როლი შეასრულეს ვიტებსკთან ბრძოლებში.

წითელი არმიის ავიაციის ძლიერება და წარმატებანი ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მთელმა მსვლელობამ მოამზადა. ამ წარმატებებში თავისი გამოხატულება ჰპოვა ხალხის თავდადებულმა შრომამ, მისმა შემოქმედებითმა უნარმა, ბოლშევიკური პარტიის მაორგანიზებელმა როლმა, ჩვენი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის სიბრძნემ.

როცა პირველი ხუთწლედის შედეგებს აჯამებდა, ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „ჩვენ არ გვქონდა საავიაციო მრეწველობა. ახლა ჩვენ იგი გვაქვს". შემდგომ წლებში ეს მრეწველობა იზრდებოდა და მტკიცდებოდა. მისი კადრები აგროვებდნენ გამოცდილებას და აფართოებდნენ თავიანთ ცოდნას. საბჭოთა მეცნიერების შემოქმედებითმა აზრმა თავისი პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა იაკოვლევის, ლავოჩკინის, ილიუშინის, პეტლიაკოვის, პოლიკარპოვის, მიკულინის, კლიმოვის, შვეცოვისა და სხვების შესანიშნავ კონსტრუქციებში.

1941 წელს საავიაციო მრეწველობის მუშაკებმა თვალსაჩინო გმირობა ჩაიდინეს: მათ სწრაფად და სანიმუშოდ მოახდინეს თავიანთი ქარხნების ევაკუაცია ჩვენი ქვეყნის სიღრმეში და იქ სარეკორდო მოკლე ვადებში აამუშავეს ისინი. ომის მსვლელობაში ჩვენი საავიაციო მრეწველობა არა თუ შენარჩუნებულ იქნა, არამედ იმდენად გაიზარდა, რომ შესძლო მთლიანად დაეკმაყოფილებინა ფრონტის მოთხოვნილება საუკეთესო ხარისხის საბრძოლო თვითმფრინავების მხრივ.

საბჭოთა ხალხი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს თავისი საჰაერო ძალებისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა სახსრების შეგროვება თვითმფრინავების ასაგებად. ფერაპონტე გოლოვატის თაოსნობით მშრომელებმა პირადი დანაზოგებიდან უდიდესი თანხები შეიტანეს, და ამ სახსრებით აგებული ათასობით თვითმფრინავი ამჟამად მოქმედებს სამამულო ომის ფრონტებზე.

ჩვენი ავიაციის ადამიანების საბრძოლო დამსახურებას მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მთავრობამ. სამამულო ომის დროს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია თითქმის 60 ათასი კაცი. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 700-ზე მეტ კაცს. 13 საუკეთესო საჰაერო მებრძოლს — პოკრიშკინს, დიმიტრი გლინკას, პოკრიშევს, ბონდარენკოს, რეჩკალოვს, ალელიუხინს, ლუგანსკის, კამოზინს, ეფრემოვს, ლავრინენკოვს, ზაიცევს, გულაევსა და გოლუბევს ეს წოდება ორგზის მიენიჭა.

საბჭოთა მფრინავები მტკიცედ ინარჩუნებენ ინიციატივას ჰაერში და უზრუნველჰყოფენ სახმელეთო ჯარებს მტრის ავიაციის იერიშებისაგან, ეხმარებიან არტილერიის ცეცხლს, ხელს უწყობენ ტანკების მანევრს, გზას უკაფავენ ქვეითს ჯარს. ჩვენი სტალინური შევარდნები წარმატებით მოქმედებენ მტრის ზურგში, ჰკვეთენ მის რეზერვებს, სპობენ ტექნიკას, ანგრევენ კომუნიკაციებს, აწარმოებენ ღრმა დაზვერვას ფართო ფრონტზე. საბჭოთა ავიაცია ყველგანმყოფი გახდა.

ასევე წარმატებით სწყვეტს პასუხსაგებ ამოცანებს ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ავიაცია. ის აწოდებს ფრონტს მნიშვნელოვან ტვირთს, ახდენს დაჭრილების ევაკუაციას. მფრინავები ახდენენ გაფრენას მტრის ზურგში, პარტიზანებთან, მიაქვთ მათთან საჭურველი, საომარი მასალა, საწვავი, სურსათი. სატრანსპორტო-სამგზავრო ავიაცია ახორციელებს სასწრაფო ტვირთის დიდ გადაზიდვას. მას ეკუთვნის პირველი როლი განთავისუფლებულ რაიონებთან კავშირის მოგვარებაში. სამოქალაქო ფლოტის მფრინავები უზრუნველჰყოფენ კავშირს განაპირა ჩრდილოეთის რაიონებთან, იცავენ ტყის მასივებს, მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ომი დასასრულს უახლოვდება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, მტერი კვლავ გააფთრებულ წინააღმდეგობას აწევს. საბოლოო გამარჯვებას რომ მივაღწიოთ, საჭიროა გავასამკეცოთ, გავაათკეცოთ ჩვენი ენერგია ფრონტზე და ზურგში.

საავიაციო მრეწველობის მუშების, ინჟინრებისა და კონსტრუქტორების ამოცანაა — მისცენ ფრონტს უფრო მეტი თვითმფრინავი მაღალი ხარისხისა, საჭურველი და საომარი მასალა მათთვის. ჩვენ ყველამ უნდა გავაძლიეროთ დახმარება საჰაერო ფლოტისადმი და ამით მოვაახლოოთ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვების დღე.



ბელორუსიის პირველი ფრონტი. ტანკების გადასვლა მდინარე ზაპადნი ბუგზე.
ფოტო ე. კაპიტასი (საკდესის ფოტოქრონიკა).

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 19 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

19 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ ტარტუს სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს გზატკეცილების მნიშვნელოვანი კვანძი ქალაქი და რკინიგზის სადგური ალუკსნე, აგრეთვე დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის მირისტე, ტუნდო, სკულტანი, სტამერი, სლიუკუმსი, კორული.

ქალაქ კრუსტპილსის (ზაპადნაია დვინაზე) ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა სძლიეს მტრის წინააღმდეგობა და ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: დაუკსტი, ბრენცენი, ზილინი, ბინდენი, ბერზაუნე, სტურნი, ვეცკალ-ნავა, ბუნჩუკი, ვილკაი, იაუნკალსნავა და რკინიგზის სადგურები კალსნავა, თაუნკალსნავა.

ქალაქ შაულიაის (შავლის) ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ქალაქ ბელოსტოკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ზალკი, ნადბელნე, კოლომია, ჩახი-კოლაკი, სვერჩევო, ზალესიე, ჩიჟევი, სმოლეჩო და რკინიგზის სადგურები ჩარნოვო-უნდი, კოლაკი, ჩიჟევი.

პრაგის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს და ბრძოლების მსვლელობაში პოზიციები გაიუმჯობესეს.

ქალაქ სანდომირის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები წარმატებით ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად, ავიწროებდნენ გარემოცვის რკალს და დაიკავეს დასახლებული პუნქტები კომორნა, პენჩინი, ტულკოვიცე, ვილჩიცე, გალკოვიცე, გერლიახუვი, კამენი. ამავე დროს ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს, რომლებიც ცდილობდნენ ჩრდილოეთიდან გამოჭრილიყვნენ გარშემორტყმული დაჯგუფების დასახმარებლად. ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

18 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 203 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 48 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ტარტუს სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. N შენაერთის ნაწილებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ და დაიკავეს გზატკეცილების კვანძი და ქალაქი ალუკსნე. მოწინააღმდეგე ეყრდნობა წინასწარ მომზადებულ თავდაცვით ზღუდეებს და ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევს, მაგრამ საბჭოთა ნაწილების დარტყმებით ზედიზედ ჰკარგავს პოზიციებს. ჩვენმა შემტევმა ჯარებმა ხელთ იგდეს 30 საველე და თვითმავალი ქვემეხი, 3 რადიოსადგური, 2 საწყობი სამხედრო მასალიანად და ველოსიპედების საწყობი.

საბჭოთა მფრინავები მამაცობასა და გმირობას იჩენენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მფრინავ-გამანადგურებელმა სიდორენკომ, რომელიც ბარაჟირობდა ჰაერში, გერმანელთა 15 ბომბდამშენი და ავიაგამანადგურებელი შეამჩნია. მამაცმა მფრინავმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მეწინავე ბომბდამშენზე და ჩამოაგდო იგი. გაჩაღებულ უთანასწორო საჰაერო ბრძოლაში კაპიტანმა სიდორენკომ მოსპო კიდევ ორი „იუნკერს-87" და ერთი „ფოკე-ვულფ-190". ჰიტლერელებმა მოახერხეს ცეცხლი გაეჩინათ ამხანაგ სიდორენკოვის თვითმფრინავისათვის. მფრინავი პარაშუტით გადმოხტა და ჩვენს ტერიტორიაზე დაეშვა. სხვა რაიონში ოთხი ჩვენი ავიაგამანადგურებელი უფროს ლეიტენანტ საველიევის მეთაურობით ბრძოლაში ჩაება გერმანელთა 24 ბომბდამშენისა და 18 ავიაგამანადგურებლის წინააღმდეგ. ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს 4 ბომბდამშენი „იუნკერს-87", 2 თვითმფრინავი „ფოკე-ვულფ-190" და უვნებლად დაბრუნდნენ თავიანთ აეროდრომზე.

* * *

ქალაქ კრუსტპილსის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ შეავსო თავისი ჯარები ახალი ნაწილებით და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს. საბჭოთა მსროლელმა ნაწილებმა, არტილერიისა და ავიაციის დახმარებით, გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და მთელ რიგ უბნებზე გადალახეს მდინარე აივიექსტე (?) აიონა. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს გზატკეცილების კვანძი ბერზაუნე. ამ პუნქტისათვის ბრძოლაში მოსპობილია 800-მდე ჰიტლერელი. დაკავებულია აგრეთვე მოწინააღმდეგის თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი ვეცკალნავა.

* * *

ქალაქ შაულიაის (შავლის) ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები მთელ ღამეს ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან. დილით ხანმოკლე შესვენების შემდეგ გერმანელთა ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდმა ძალებმა კვლავ მოიტანეს იერიში საბჭოთა პოზიციებზე. მოწინააღმდეგე ცდილობდა რადაც უნდა დასჯდომოდა მიეღწია წარმატებისათვის და აძლიერებდა დარტყმებს, აბამდა ბრძოლაში ახალ ძალებს. საბჭოთა არტილერისტებმა, ტანკისტებმა და ქვეითებმა, ავიაციის აქტიური დახმარებით, წარმატებით მოიგერიეს გერმანელთა ყველა იერიში და მძიმე ზარალი მიაყენეს მათ. არასრული ცნობებით, მოსპობილია 1500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის 100-ზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 40 საველე ქვემეხი, 50-მდე ტყვიამფრქვევი და 80 ავტომანქანა.

* * *

პრაგის (ვარშავის გარეუბანი ვისლის მარჯვენა ნაპირზე) აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდმა ძალებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა ნაწილებმა მოჰქანცეს მტერი და უეცრად აგემეს მას ძლიერი კონტრდარტყმა. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები, რომლებიც მთელ რიგ ადგილებში ხელჩართულ შეტაკებებად იქცა. ჩვენმა ჯარებმა გააძლიერეს დაწოლა და დაიკავეს ხელსაყრელი პოზიციები. მოსპობილია ერთ პოლკზე მეტი მტრის ქვეითი ჯარი, დაზიანებული და დამწვარია 16 ტანკი, დამსხვრეულია 27 ქვემეხი და 80-მდე ტყვიამფრქვევი. საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 12 ტანკი, 2 თვითმავალი ქვემეხი, 31 საველე ქვემეხი, 58 ტყვიამფრქვევი.

* * *

ქალაქ სანდომირის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები წარმატებით ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელთა გარშემორტყმული დივიზიების მოსასპობად. ჰიტლერელები განდევნილი არიან რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის. ბრძოლების ადგილები მოფენილია მტრის გვამებით და გერმანელთა დამსხვრეული ტექნიკით. მოწინააღმდეგის ტანკები და ქვეითი ჯარი ჩრდილოეთიდან სცდილობდნენ გამოჭრილიყვნენ თავიანთი გარშემორტყმული დაჯგუფების დასახმარებლად. N შენაერთის ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს გერმანელთა ყველა კონტრიერიში. მოსპობილია მტრის 37 ტანკი, 3 თვითმავალი ქვემეხი და 11 ჯავშანტრანსპორტიორი. გაჟლეტილია 500-ზე მეტი ჰიტლერელი.

# დარტყმა მტრის აეროდრომზე

მოქმედი არმია, 17 აგვისტო (საკდესის სპეც. კორ.). უფროს ლეიტენანტ ივანე ლანდიკს დაევალა დაეზვერა აეროდრომები აღმოსავლეთ პრუსიაში. გერმანიის ერთი ქალაქის ახლოს მან შენიშნა ათი „ფოკე-ვულფ-190", რომელნიც დასაშვებად მიდიოდნენ. საბჭოთა მზვერავი, რომელიც „ლავოჩკინ-5"-ით მიფრინავდა, ფარულად მიჰყვა გერმანელთა უკანასკნელ ავიაგამანადგურებელს, ბედივენა მტრის ჯგუფს. ძირს დიდი აეროდრომი იყო. როცა უკანასკნელი „ფოკე-ვულფი" დასაშვებად წავიდა, ლანდიკმა სროლა აუტეხა მას და ცეცხლი წაუკიდა მოწინააღმდეგეს. იგი საფრენ მინდორზე დაეცა. შემდეგ საბჭოთა პილოტმა თავზე გადაუარა აეროდრომს და დაზვერვა მოახდინა. მიწაზე 60-მდე თვითმფრინავი იდგა.

საბჭოთა მზვერავის მოქმედება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გერმანელებმა ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრეს.

მალე ფრონტისპირა ერთ-ერთი ჩვენი აეროდრომიდან აფრინდა ოცდაათხი „ლავოჩკინი" გვარდიის პოდპოლკოვნიკ გიორგი ლობოვის მეთაურობით. მათთან ერთად მიფრინავდა ივანე ლანდიკიც. მან გაიყვანა ჯგუფი თავის მიერ აღმოჩენილ მტრის აეროდრომისაკენ. მფრინავებმა დააყარეს ბომბები, შემდეგ მაღლა ავიდნენ და იწყეს ჰკირება, უშენდნენ მტრის მანქანებს და აქეთ-იქით გაქცეულ ჰიტლერელებს. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა მოსპეს ათი „ფოკე-ვულფი" და ერთი ოთხმოტორიანი თვითმფრინავი.

რამდენიმე დღის შემდეგ გვარდიის პოდპოლკოვნიკი ლობოვი მეორედ დაესხა თავს ამავე აეროდრომს და რამდენიმე ადგილას ხანძარი გააჩინა საფრენ მინდორზე.

გვარდიის კაპიტანი ბ. კოტელნიკოვი.

# რატომ ჩამორჩა მარცვლეულის ლეწვა?

(კასპი, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ბარის კოლმეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. პური და ქერი 11.038 ჰექტარიდან აღებულია 10.000-მდე ჰექტარზე. აღებული მოსავლის ნახევარზე მეტი მიტანილია კალოებთან. მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღებასა და ლეწვაში თავი ისახელეს სოფელ ქვემოჭალის, გამდლისწყაროს, ქედის, ზემოხანდაკის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

მაგრამ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ დროულად დამთავრდეს მოსავლის დაბინავება, წარმატებით შესრულდეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულებანი. მტს-ებმა, გარდა იმისა, რომ ვერ უზრუნველჰყვეს კომბაინების სრული დატვირთვით მუშაობა და მოსავლის აღების გეგმა მხოლოდ 30-50-მდე პროცენტით შეასრულეს, ვერ მოაგვარეს პურეულის ლეწვაც. კასპის მტს-ის 9 სალეწს გეგმით 1.200 ტონა უნდა გაელეწა. ფაქტიურად გალეწილია მხოლოდ 300-მდე ტონა. ამის მიზეზი ის არის, რომ მტს-ში თითქმის 2 თვემდე გააჭიანურეს სალეწების შეკეთება და, მიუხედავად იმისა, რომ მოსავლის აღება ბევრგან ივნისში დაიწყო, მტს-ი ლეწვას მხოლოდ 1 აგვისტოდან შეუდგა. ახლაც სალეწ მანქანებს ვერ ამუშავებენ უავარიოდ, ხშირად წყდება ღვედი, ზიანდება ნაწილები, ბევრგან ლეწვის სადღეღამისო ნორმა არ სრულდება. კასპის კოლმეურნეობა „ძმობაში" ზეთის მიუწოდებლობის გამო 8 ივლისს სალეწი მანქანა მთელ დღეს მოსცდა.

ზოგჯერ ლეწვის გაჭიანურება გამოწვეულია კოლმეურნეობის მიზეზითაც. სოფელ ლამისყანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ცუდად მოაწყეს კალოები, სათანადოდ არ გაწმინდეს ადგილი ბალახისაგან, საკმაოდ არ მოიმზადეს ფოცხები, ფიწლები, ნიჩბები, ცხავები. ვერ მოაგვარეს სალეწი მანქანებისადმი დახმარება. ადგილი აქვს მარცვლეულის დანაკარგებს, როგორც კალოსთან, ისე გადაზიდვისას.

სოფელ ოკამის კოლმეურნეობა „განთიადში" დაარღვიეს სავალდებულო წესი—კალოსთან, სადაც პურის ლეწვა მიმდინარეობს, არ მიიტანეს სასწორი. პური აუწონავად და უსაბუთოდ მიაქვთ საწყობში. 10 აგვისტოს, როცა ამ უპასუხისმგებლობაზე მიუთითეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. კაპანაძემ და საწყობის გამგემ შ. ბუაჩიძემ დაიწყეს „მტკიცება", თითქოს სალეწიდან პურის აუწონავად ზიდვა დასაშვები იყოს. აქ ერთ თვეზე მეტია დაიწყეს ლეწვა, დაცვა კი დღემდე ვერ მოაგვარეს. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ივიწყებენ, რომ პური გულმოდგინედ უნდა აიწონოს სალეწ მანქანასთანაც, კომბაინთანაც, ბეღელში მიღების დროსაც. კალოებიდან შესაბამად გაგზავნილ პურს აუცილებლად თან უნდა გავაყოლოთ ზედნადები მარცვლის ზუსტი რაოდენობის და გადამზიდველის გვარის აღნიშვნით.

სოფელ ოკამის კოლმეურნეობაში აჭიანურებენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებასაც. 10 აგვისტოს თითქმის მთელი საწყობი სავსე აღმოჩნდა პურით და ქერით. მიუხედავად ამისა, 23 ტონა პურიდან სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარებისა და ნატურანაზღაურების ანგარიშში ჩაბარებული იყო მხოლოდ ერთი ტონა და 321 კილოგრამი, ქერი კი—16 ტონიდან—9 ტონა და 397 კილოგრამი.

მოწინავე კოლმეურნეობებს, მათ შორის სოფელ პანტიანის, გაბისჯვარის, საქადაგიანო მეორეს უკვე მოხდილი აქვთ სახელმწიფო ვალდებულებანი. მთლიანად რაიონს მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების, ნატურანაზღაურებისა და წითელი არმიის პურის ფონდში ჩაბარების ვალდებულებანი შესრულებული აქვს 80-მდე პროცენტით. მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი კოლმეურნეობები, რომლებმაც გააჭიანურეს როგორც ლეწვა, ისე სახელმწიფო ვალდებულების მოხდა.

სოფელ ალაიანის და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობის ფართობებში, მაგალითად, გორინატახტარის გზის პირებზე აღებული მოსავალი მინდორშია მოფანტული და აწევიმს. მინდვრებზე იშვიათად არიან მეველეები, კალოებზე კი დარაჯები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მოსავლის დაცვას.

ტრ. თოდრაძე

# ჩაის კრეფაზე მთელ ძალებს არ იყენებენ

(ლანჩხუთი, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულებაში ლანჩხუთი ჩამორჩება. 15 აგვისტოსათვის წლიური გეგმა შესრულებულია 64,4 პროცენტით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიონული კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებების შედეგად აგვისტოში მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა გააძლიერეს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპები, გააუმჯობესეს ხარისხი და პლანტაციების დამუშავება. ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის წარმატებით შესრულებაში თავი ისახელეს ქვემო შუხუთის საბჭოთა გმირების სახელობის (თავმჯდომარე ა. საჯაია) და ლამისღელის ფრუნზეს სახელობის (თავმჯდომარე ქ. ორაგველიძე) კოლმეურნეობებმა, რომლებსაც გადაეცათ რაიონული გარდამავალი წითელი დროშები. ამასთან დაკავშირებით ამ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა პირობა დადეს აგვისტოში შეასრულონ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

სოფელ აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ვ. წილოსანი) 3 თვის გეგმით 128.009 კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფა, ფაქტიურად ქვეყანას მისცა 141.356 კილოგრამი. მაგრამ აქ დაბალია მოკრეფილი ფოთლის ხარისხი. პირველი ხარისხის ფოთოლი აქ მხოლოდ 35,8 პროცენტს შეადგენს. აგვისტოში აცანელებმა სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 115.700 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. პლანტაციებში ჩაის ფოთოლი არის, მაგრამ კრეფის ტემპები დაბალია. აგვისტოს პირველ ხუთდღიურში მოიკრიფა 2.673 კილოგრამი, მეორე ხუთდღიურში კი 1.319 კილოგრამი. ამის მიზეზი ის არის, რომ მკრეფავები ყოველდღიურად სრული დატვირთვით არ არიან გამოყენებულნი. 163 მკრეფავიდან მთელი დღე მუშაობს 100-მდე. 11 აგვისტოს პირველ ბრიგადაში 46 მკრეფავიდან მუშაობდა მხოლოდ 24. სისტემატურად არ გამოდიან და მთელი დღის დატვირთვით არ მუშაობენ მ. ჩხაიძე, ნ. ქინქლაძე და სხვ. ც. კვიჟიძე დღეში რამდენიმე საათს წაიმუშავებს და 5-10-12 კილოგრამზე მეტს არ ჰკრეფს, მაშინ როცა მისი ამხანაგები 30, 40 და 60 კილოგრამს ჰკრეფენ.

აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი დიდი კოლმეურნეობაა რაიონში. მას ჰყავს 210-მდე შრომისუნარიანი წევრი. ამას გარდა არიან მოსწავლეები აგრეთვე მოხუცები. თუ კოლმეურნეობა ამ ძალებს მთლიანად გამოიყენებს, სამუშაოებს სწორად გაანაწილებს და თანმიმდევრულად, ყოველდღიურად კრეფას გააჩაღებს მიცემულ გეგმას აუცილებლად შეასრულებს.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში კრეფის წესებს ჯერ კიდევ არ იცავენ. ამის გამო წითელი უბნის, ლესის, ზემო აკეთის კოლმეურნეობებში შეხვდებით გაუხეშებულ ფოთოლს. კრეფის წესების დარღვევის შედეგად სოფელ ორმეთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე მხოლოდ 0,7 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი მიიღეს. ზოგან მთლიანად არ იყენებენ მუშახელს. სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში 5 აგვისტოს 10 მკრეფავი გამოვიდა სამუშაოდ. ჩაის ფოთოლი კი უხვად იყო. სოფელ გულიანში ჩაის პლანტაციები მოუვლელია, გათოხნა კი კოლმეურნეობას აგვისტოს პირველ ხუთდღიურშიც არ ჰქონდა დაწყებული.

ამჟამად ამინდიც უკეთესი დადგა. საჭიროა მოვახდინოთ მთელი ძალების მობილიზაცია, რათა ფრონტსა და ქვეყანას მივცეთ მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ნ. ჯანჯღავა

# მოსავლის აღება

(საქმიწსახკომის 15 აგვისტოს ცნობებით)

| რაიონები | აღებულია თავთავიანი მარცვლეულის მოსავალი გეგმის პროცენტობით | აღებული მოსავლიდან გალეწილია პროცენტობით | რაიონები | აღებულია თავთავიანი მარცვლეულის მოსავალი გეგმის პროცენტობით | აღებული მოსავლიდან გალეწილია პროცენტობით |
|---|---|---|---|---|---|
| აჭარის ასსრ | 100,0 | — | გორი | 86,1 | 53,4 |
| სამხრეთ-ოსეთის ა. ო. | 62,9 | 48,0 | კასპი | 92,4 | 47,1 |
| ქუთაისი | 100,0 | 84,4 | ბორჯომი | 26,8 | 48,4 |
| წყალტუბო | 51,4 | 55,6 | წალკა | 3,5 | — |
| სამტრედია | 100,0 | 100,0 | დუშეთი | 76,7 | 45,3 |
| მაიაკოვსკი | 96,8 | 70,3 | თეთრი წყარო | 82,6 | 61,8 |
| ზესტაფონი | 100,0 | — | თიანეთი | 46,2 | 16,9 |
| ჩხარი | 100,0 | 82,0 | გურჯაანი | 100,0 | 79,7 |
| ჭიათურა | 55,3 | 15,7 | სიღნაღი | 100,0 | 98,6 |
| საჩხერე | 88,0 | 30,7 | წითელიწყარო | 100,0 | 100,0 |
| ორჯონიკიძე | 100,0 | 84,3 | თელავი | 98,9 | 70,1 |
| ონი | 61,2 | 4,7 | ყვარელი | 100,0 | 100,0 |
| ამბროლაური | 82,5 | 54,6 | ლაგოდეხი | 100,0 | 90,0 |
| ცაგერი | 94,6 | 36,9 | თბილისი | 97,5 | 66,0 |
| ქვემო სვანეთი | 100,0 | 55,2 | მცხეთა | 100,0 | 46,5 |
| ახალქალაქი | 17,9 | 7,1 | ყარაია | 100,0 | 44,6 |
| ახალციხე | 90,9 | 31,4 | ბორჩალო | 100,0 | 75,3 |
| ადიგენი | 83,2 | 20,6 | ბოლნისი | 100,0 | 73,2 |
| ასპინძა | 49,2 | 17,7 | საგარეჯო | 96,2 | 66,6 |
| ხაშური | 98,9 | 63,2 | ბაშკიჩეთი | 38,2 | 32,9 |
| ქარელი | 94,3 | 54,0 | | | |

# ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლები

საბჭოთა კავშირის 189 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში წელს იხსნება ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლები. ეს არის ახალი ტიპი სასწავლებლებისა, რომლებიც მოამზადებენ კვალიფიციურ მემინდვრეებს, მებაღეებს, მებოსტნეებს, მეცხოველეებს, მეცხენეებს და უმცროს ვეტერინარულ ფერშლებს. სწავლის დროის არანაკლებ ნახევარი ამ სკოლებში მოხმარდება პრაქტიკულ მეცადინეობას.

სასოფლო-სამეურნეო სკოლებში მიიღებიან კოლმეურნეები, მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკები 16 წლის ასაკიდან, საშუალო სკოლის 7 კლასის მოცულობის განათლებით. სწავლა უფასოა. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სასწავლო სახელმძღვანელოებითა და სახელმწიფო სტიპენდიით. (საკდესი).

# ახალი სასწავლო წლის დაწყების შესახებ

დაწესებულია ახალი სასწავლო წლის დაწყების ვადები დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლებისათვის. უმცროს კლასებში — 1-დან მე-4-მდე მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს, უფროს კლასებში — მე-5-დან მე-10-მდე — 1 ოქტომბერს. (საკდესი).

# გერმანელი გენერლის მიმართვა

—გერმანე[illegible]
მოსკოვი, 10. 8 —1944 წ.

## გერმანიის არმიის გენერლებისა და ოფიცრებისადმი

მე, გენერალ-ლეიტენანტი დოქტორი ფრიც ფრანეკი, 73-ე ქვეითი დივიზიის ყოფილი მეთაური, სავსებით ვუერთდები არმიების ცენტრალური ჯგუფის 19 გენერლის განცხადებას, რომელსაც პირველი აწერს ხელს კორპუსების ხუთი მეთაური: ინფანტერიის გენერალი ფელკერსი—27-ე საარმიო კორპუსის მეთაური, ინფანტერიის გენერალი ჰოლვიტცერი—53-ე საარმიო კორპუსის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ჰოფმაისტერი—41-ე სატანკო კორპუსის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი მიულერი—12-ე საარმიო კორპუსის მეთაური და გენერალ-ლეიტენანტი ბარონი ფონ ლიუტცოვი—35-ე საარმიო კორპუსის მეთაური.

მე, არმიების ცენტრალური ჯგუფის მეოცე გენერალი, რომელიც ხელს ვაწერ ამ მიმართვას, დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ გადამწყვეტ ბრძოლას ჰიტლერისა და მისი რეჟიმის წინააღმდეგ შეუძლია გაათავისუფლოს გერმანელი ხალხი და ევროპის ჰიტლერის მიერ დამონებული ხალხები ჩაგვრისა და თვითნებობისაგან და მალე მიგვიყვანოს ომის დამთავრებამდე. ისევე, როგორც დანარჩენი გენერლები, მე მზადა ვარ მონაწილეობა მივიღო ბრძოლაში ჰიტლერისა და მისი ხროვის წინააღმდეგ.

გაათავეთ ეს უაზრო ომი! ჰიტლერი ამაოდ ცდილობს გააჭიანუროს ომი. ამით მას შეუძლია მხოლოდ მოკლე ვადით გადასდოს თავისი დაღუპვა. მან უკვე შესწირა მილიონობით გერმანელი, ხალხის ყველაზე უფრო ჯანსაღი და ცხოველმოქმედი ნაწილი სისხლისაგან დაიცალა ბრძოლის ველებზე. არა[…] რომ თავის ხელქვეით იყოლიოს, ჰიტლერი იძულებულია ახლა უფრო მეტად, ვიდრ[…] ოდესმე, მიმართოს თავის სს-ელთა ბანდებისა და სასამართლოების დახმარებას. ისინი[…] ჰიტლერით უკმაყოფილო ადამიანებს ეძებენ[…] გენერლებსა და ოფიცრებს შორის და[…] სახრჩობელაზე ჰგზავნიან მათ. მაგრამ ამა[…] ისინი ვერ დააშინებენ გერმანელ ხალხს, გე[…]ნერალიტეტისა და ოფიცერთა კორპუსის საუკეთესო ნაწილს, არამედ მხოლოდ უფრო[…] მალე გააერთიანებენ ბრძოლისათვის მთელ[…] ანტიჰიტლერულ ძალებს.

გერმანიის არმიის შემადგენლობაში ბევრი[…] გენერალი, ოფიცერი და ჯარისკაცი ავსტრი[…]იდან და ევროპის ჰიტლერის მიერ დაჩაგრული სხვა ქვეყნებიდან. იმ დროს, როდესაც ისინი სისხლისაგან იცლებიან ბრძოლის მრა[…]ვალ ველზე, მათს სამშობლოში მეფობს[…] და გესტაპოს ძალადობა და თვითნებობა.

დროა გენერლებმა, ოფიცრებმა და ჯარის[…]კაცებმა შეიგნონ, რომ ხელისუფლების სა[…]თავეში ჰიტლერისა და მისი ხროვის ყოფნა[…] ყოველი დღე ახალ უაზრო მსხვერპლ[…] იწვევს.

ამიტომ მე მოგიწოდებთ გაბედული მო[…]მედებისაკენ.

ბრძოლა ჰიტლერის წინააღმდეგ არი[…] ბრძოლა გერმანელი ხალხისა და ევროპ[…] ჰიტლერის მიერ დამონებული ხალხების გა[…]თავისუფლებისათვის.

დოქტორი ფრანეკი, გენერალ-ლეიტენანტი, 73-ე ქვეითი დივიზიის მეთაური.

# დეპეშები

## მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა

ლონდონი, 19 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

18 აგვისტოს გარემოცვის რკალი გერმანიის ჯარების ირგვლივ ნორმანდიაში კიდევ უფრო დავიწროვდა. ამერიკისა და ინგლისის ჯარები შეერთდნენ ბრიუზის მახლობლად. მოკავშირეთა შემტევი ნაწილები დასავლეთიდან მივიდნენ დაახლოებით მდინარე ორნის ზღუდემდე. ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს გერმანიის იმ ჯარების უკანდახევის გზებისაკენ, რომლებიც აღმოსავლეთისაკენ მიეშურებიან, რათა თავი დააღწიონ სრულ გარემოცვას. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სამხრეთისაკენ უტევენ, წინ წაიწიეს აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ არჟანტანიდან, დასძლიეს რა მტრის წინააღმდეგობა. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ჩრდილოეთიდან მიდიან არჟანტანის გზით, პიერფიტს მიაღწიეს.

შემდეგ ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებდნენ, გადალახეს მდინარეები დივი და ვი ნოტრ დამ დესტრი[…] მახლობლად და დაიკავეს სენ-ჟულიენ-ლე-ფოკონი. დრეს რაიონში გაფართოებული ხიდწინა სიმაგრე მდინარე ერზე ქალაქის ჩრდილოეთით და სამხრეთით. შემდეგ სამ[…]რეთით განთავისუფლებულია მანტი. ლანიონ-პემპოლის რაიონში „ტომრის" ლიკვიდაციით შეწყდა მტრის წინააღმდეგობა ბრეტანის ჩრდილოეთ სანაპიროზე.

მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის თავმოყრილ ჯარებს, ტრანსპორტს, აეროდრომებს, კომუნიკაციებსა და მომარაგების ცენტრებს.

## საომარი მოქმედება სამხრეთ საფრანგეთში

ლონდონი, 19 აგვისტო (საკდესი). ხმელთაშუა ზღვის სამხრ სანაპიროზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ 17 აგვისტოს ღამით გერმანიის სატორპედო კატერების შენაერთი ცდილობდა იერიში მოეტანა მოკავშირეთა გემებზე, რომლებიც აწარმოებენ ჯარების გადასხმას და საჭურვლის გადატვირთვას საფრანგეთის სამხრეთში. ეს იერიში მოგერიებულ იქნა ამერიკის ნაღმოსნების მიერ, რომლებმაც ხანმოკლე ბრძოლის დროს მოსპეს მტრის 4 კატერი.

მე-7 არმიის ნაწილებმა, რომლებიც განაგრძობდნენ სწრაფ შეტევას მტრის მხრივ შედარებით სუსტი წინააღმდეგობის პირობებში, გააფართოვეს პლაცდარმის მოედანი სამხრეთ საფრანგეთში ათასზე მეტი კვადრატული მილის მოცულობამდე და მიაღწიეს პუნქტს 10 კილომეტრზე ტულონიდან. ფრონტის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ უბნებზე მდინარე არჟანის ხეობის ორივე მხარეზე ამერიკის ნაწილებმა წინ წაიწიეს რამდენიმე კილომეტრით. დაკავებულია ქალაქები სოლიეს-პონი, ლა როკბრიუსანი, გარეუ, ბრინიოლი, ვენი და სალერნი. ფრანგთა ნაწილებმა საბოლოოდ გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა ბენის კონცხის რაიონში.

## ინგლისის ავიაცია თავს დაესხა გერმანიას

ლონდონი, 19 აგვისტო (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 18 აგვისტოს ღამით ინგლისის ბომბდამშენების დიდი შენაერთები თავს დაესხნენ გერმანიას. დაბომბვის ძირითადი ობიექტები იყო ბრემენი და შტერკრადე. „მოსკიტოს" მარკის თვითმფრინავებმა ბერლინი დაბომბეს. დაბომბილ იქნა აგრეთვე მთელი რიგი ობიექტები ბელგიასა და საფრანგეთში.

## მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 19 აგვისტო (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 19 აგვისტოს ინგლისის ავიაცია თავს დაესხა თვითმფრინავ-ყუმბარების მიწისქვეშა საწყობს ლილ ადამში 15 მილზე პარიზის ჩრდილოეთით. ეს ობიექტი აქამდე დაბომბილი არ ყოფილა. იმ მფრინავების ცნობით, რომლებიც ოპერაციაში მონაწილეობდნენ, დაბომბვა ეფექტიანი იყო. 19 აგვისტოს ამერიკის ბომბდამშენების შენაერთები თავს დაესხნენ 4 აეროდრომს, ავიამოტორების ქარხანას და საწვავის ორ საწყობს საფრანგეთში, აგრეთვე თავდასხმებს განაგრძობდნენ რკინიგზის ობიექტებზე და მტრის ავტოტრანსპორტზე სენის ჩრდილოეთით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი


ორშაბათიდან, 21 აგვისტოდან
კინოთეატრებში
„რუსთაველსა" და „დამკვრელში"
ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი
ა. პ. ჩეხოვის ნაწარმოების მიხედვით
„ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა"
სცენარი და დადგმა მ. ანენსკის, მთავარი ოპერატორი ი. ეკელჩიკი, მხატვარი ს. მანდელი, კომპოზიტორი ვ. ჟელობინსკი
მთავარ როლებში: რსფსრ სახალხო არტისტები ვ. მარეცკაია, ა. გრიბოვი, რსფსრ დამსახურებული არტისტები ნ. კონოვალოვი, ფ. რანევსკაია, ს. ბლინიკოვი, ნ. პლოტნიკოვი, მ. იანშინი, ლ. სვერდლინი, ო. აბდულოვი, მსახიობები ზოია ფედოროვა, ე. გარინი, ს. მარგინსონი.
თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის ნაწარმოები 1944 წ.
„გლავკინოპროკატის" საქართველოს კანტორის გამოშვება.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი
20 აგვისტოს
თბილისის ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად
დიდი სეირნობა
სახალხო არტისტ ლადო კავსაძის
დიდი კონცერტი
სახელმწიფო ოპერისა და სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა მონაწილეობით. საზაფხულო კინოთეატრი. ცეკვა ჯაზის თანხლებით. ბავშვებისათვის: ბავშვთა რკინიგზა, კარუსელი.
სეირნობის დასაწყისი დღის 11 საათზე. კონცერტის დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

დაკარგულია ჩოხატაურის რაიალმასკომბინატის (?) ლენოკომბინატის თბილისის განყოფილების მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ.
დაკარგულია წყალპროექტტრესტის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ.

შვილები ელენე, შალიკო, ირაკლი, და ნატალია, სიძე კალე, რძალი მარიამ, შვილიშვილები იუწყებიან ნინო ივანეს-ასულ ჯანიკაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 20/VIII, 2 ს. სასამართლოს, 30/7.

დეიდა პარასკევა, ბიძა ნესტორ ნადარეიშვილი, და ნინო თოფურია, აკაკი და ლაშა ლაბახუები იუწყებიან კოკი არსენის-ძე კაჭარავას გარდაცვალებას.

დედა მარიამ, შვილი ჯუანშერი, დები ვერიკო, მერი, ძმა ლევანი, სიძეები მიხეილ ჭიაურელი და ნიკოლოზ დანელია იუწყებიან ალექსი ივლიანეს-ძე ანჯაფარიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/VIII 8 ს. ცენტრალური კლინიკის ინსტიტუტის პროზექტურა. კამოს 47.

შვილები კოტე, ნიკო, ქეთო, ზურაბ, ალექსანდრე ცოლ-შვილით იუწყებიან ივანე ანდრიას-ძე რატიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21/VIII, 7 ს. გამოსვენება 22/VIII, ვოგოლის, 50.

მშობლები არჩილ, სარა, ქმარი პარმენ, შვილები ევგენი, ნოე, დავით, ნათელა, დები ლუბა, გალი, მარო, ძმა შოთა, სიძე ერასტო შვილით იზათი იუწყებიან ნინო სამხარაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21/VIII, 7 ს. გამოსვენება 22/VIII, 5½ ს. გოგოლის, 55.

მამა არსენა, დები ქეთო ქმრით, ნინა, ცირა, ბიძაშვილები შურა, ირა, კოტე, ოთარ, შალიკო, პეტრე, ერა, ვასიკო იუწყებიან კოკი არსენის-ძე კაჭარავას გარდაცვალებას.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექ.—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 07879